№ 23. **სახალხო გაზეთი** № 23.

ხუთშაბათი, 3 ივნისი 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი პირველი

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის
ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო
**სახალხო გაზეთი**
ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული
**სურათებიანი დამატება**
**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.
**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური**
**დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.**
ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.
გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.
******ხელის-მომწერთა საყურადღებოდ******
კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.
„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევს 5 საათიდან 7 საათამ.
წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

„სახალხო გაზეთის"
კანტორა აცხადებს, რომ ვისაც გაზეთის გამოწერა უნდა, ფული აუცილებლად ამ ადრესზე უნდა გამოგზავნოს: Тифлисъ Большая Ванкская № 12, Семену Пашалишвили.
ვისაც ფული გამოგზავნილი აქვს სხვა ადრესზე, ვთხოვთ აცნობონ ფოსტის კანტორას ამ ადრესზე გადასცენ ფული.

გიორგი (იაგორ მიხეილის ძე გომელაური, ეკატერინე დავითის ასული გომელაურისა, ივანე გიორგი და ქეთო გომელაურები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობრებს—პირველნი ძვირფასი შვილის. მესამე—ძმისწულის, ხოლო მეოთხე და მეხუთე—დაუვიწყარი ძმის, ოდესის უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტის
**მიხეილ (მიხაკო) გომელაურის**
გარდაცვალებას. წირვა დანიშნულია ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში- გამოსვენება ხუთშაბათს, 3 ივნისს, დილის 10 საათზე (ერისთავის ქუჩა № 14). დაკრძალვა მოხდება კუკიის წმ. ნინოს ეკლესიის სასაფლაოზე.
პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 8 საათზე. (2—307—2)

ხუთს ამა ივნისს, დღით, შაბათს, სოფელ ითხვისს იოანე ნათლის მცემლის ეკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის
**სიმონ ნიკოლოზის ძის აბდუშელიშვილის**
სულის მოსახსენებლად, რასაც აცნობებს ნათესავთა და ნაცნობთ ღრმა მწუხარებას შინა მყოფი მეუღლე მისი მატრონა ელიზბარის ასული აბდუშელიშვილისა. (2—კვ.—1)

**ავლაბრის თეატრი**
(დირექცია ამო-ზარაზიანისა).
**შაბათს, 5 ივნისს, 1910 წელს**
ავლაბრის ქართულ დრამატიულ ხელოვნების მოყვარულთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ავლაბრის სცენაზე:
I
**„ისმინე ისრაილ"**
დრამა 3 მოქმ., თარგ. შალიბაშვილისა.
II
**„საღამოს ერთი ცხვირი ხეირია"**
ვოდევ. 1 მოქმ., ხუნდუკიანცისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი რჩეულოვი, ლელაშვილი; ბ-ნნი მატარაძე, მეტრეველი, გელიკურაშვილი, სალაყაია, მირველოვი, ლექავა, კორძაია, მაისურაძე და სხვა.
ბილეთ. ფასი 10 კ.-დან 5 კ.-მდე. **დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.**
რეჟისორი **გ. მატარაძე.** გამგე **ა. კორძაია.** (3—1)

**ექ. ვ. ღამბაშიძის სანატორიუმი**
**პატარა ცემში**
**გაიხსნება 15 ივნისს ორის განყოფილებით:**
ერთი—საბავშო, მეორე—დიდებისათვის.
დაწვრილებით პირობების გასაგებად მსურველთ უნდა მიმართონ წერილით ექიმს ვახტანგ ღამბაშიძეს **ბორჯომით** პატარა-ცემს. (25—4)

მიიღება ხელის მოწერა სამეცნიერო-პედაგოგიურს და სალიტერატურო ჟურნალ
**„განათლებაზე".**
**ივნისის ნომერი გამოვა 15 ივნისს.** ამ წლის ხუთი ნომერი უკვე გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერლებს. ჟურნალი წლიურად ღირს 3 მანეთი, ხოლო მასწავლებელთათვის **ორი მანეთი.** ხელის მოწერა მიიღება ტფილისში „ქ. შ. წ. კ. გამავრ. საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში და „ნაკადულის რედაქციაში.
მისამართი: Тифлисъ, Дворянская Грузинская Гимназія Л. Г. Боцвадзе.
(4—3) რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

1910 წელს 6 ივნისს გაიმართება
**სეირნობა**
ვერის სკეტინგ-რინგზედ საქველ-მოქმედო ბაზრით **ქართვ. ქალთა სამკერვალო სკოლის სასარგებლოდ**
პროგრამა საღამოსი: ბედნიერების ჩარხი, საბედისწერო ქვევრი, პტიმევდ, რგოლებით სროლა, კომფეტტი და სხ.
დაუკრავს სამხედრო მუსიკა და საზანდარი. იქნება ცეკვა ევროპიული და ლეკური; იქნება ბუფეტი, ცივ ცივი სასმელები, ყვავილები და სხ.
**დასაწყისი 5 საათზედ.**
შესასვლელი 30 კ. და მოსწავლეთათვის 20 კაპ.
თუ ავდარი იქნება **სეირნობა** გადიდება 7 ივნისისთვის. (4—2)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**
30 მუდმივი საწოლით და საშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.
**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საა.
**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. ... ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.
**გორბოვსკი-ზარანეკი ე. ვ.** თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.
**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.
**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., ... ხას. 1—2 ს.
**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.
**ფირბდოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
**პაპოვი ვ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყო. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღგ, 9—11 ს.
სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.
რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—ნ.—193)

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.
**ვ. გაზაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
**ზ. ა მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.
**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი
მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ. —ნ. —355)

**ექიმი დ. ახვლედიანი**
იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ.

**ექიმი ე. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—137)

**ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბღოვის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—449)

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი**
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი ბავშვებისა ქუთაისში ბადრიძე**
1 მაისიდან გადადის საკუთარ სახლში გენერლის ქუჩაზე ავადმყოფ ბავშვების გასინჯვა და აცრა. 9—12 და 5—7 ს. 25—ნ.—25

**ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოხე ქიქოძის სახლი. (0—უ.—195)

**ექიმი შ. მიძელაძე**
**იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ.** საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კავგეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—104)

**ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ა ნ. დიასამიძე**
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი**
იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი). დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—გვ.—57

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.**
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—78)

**ექიმი ვ. ღამბაშიძე**
გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. უ)

**სახალხო თეატრი**
(ავჭალის ქუჩა)
**კვირას, 6 ივნისს, 1910 წ.**
ქართულ სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება
**სამხედრო ბანაკში**
დრ. 4 მ. შეირლენისა, თ. ა. იმედაშვილისა
მონაწილეობენ: ქ-ნი ანკარა; ბ-ნნი ანაშვილი, ბადრიძე, მეტრეველი, ინაშვილი, სალაყაია, ი. რომანიშვილი, მატარაძე, პეპანოვი, კულაშვილი, ხოხიშვილი და სხ.
დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.
ადმინისტრატორი გ. ანაშვილი.
ბილეთები იყიდება თეატრის კასაში ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან.

**ზემო ავჭალაში** იძლევა აგარაკი
ორი ოთახი თავის სამზარეულოთი. ოთახები მოთავსებულია ზემო სართულში და გარშემო მშვენიერი ბაღი აკრავს. პლატფორმიდან სულ შვიდი წუთის სასიარულოა.
იკითხეთ „სახ. გაზ." რედაქციაში.

**განცხადებების მომკრები აგენტი**
**მ. ა. გაშონია**
გადავიდა მიხეილისა და კიროჩნის ქ. ქ. კუთხეში, სასტუმრო „იმპერიალში" და კვლავ განაგრძობს მუშაობას. (10—2)

## ნარკვევი
(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გაზეთ „რეჩს" მოჰყავს რამდენიმე სტატისტიკური ცნობა, რომელიც ნათლად ასურათებს ოპოზიციის შეხედულებას ფინლიანდიაზე, როგორც „პაწია კულტურულს ერზე, მჭიდროდ შეკავშირებულზე მთელი კაცობრიობის წინსვლასთან".

საფოსტო საქმის განვითარება სამართლიანად ითვლება რომელიმე ქვეყნის კულტურული სიმწიფის საზომად. ქვემოდ მოყვანილი ცხრილიდან სჩანს თუ რავდენი მცხოვრები მოდის თვითეულ საფოსტო დაწესებულებაზე:

| | |
|---|---|
| გერმანია . . | 1,550 მცხ. |
| ფინლიანდია . . | 1,650 „ |
| დიდი ბრიტანია . | 1,860 „ |
| ავსტრია . . . | 3,140 „ |
| საფრანგეთი . . | 3,230 „ |
| იტალია . . . | 3,800 „ |
| ესპანია . . . | 4,000 „ |
| უნგრეთი . . . | 4,080 „ |
| რუსეთი . . | 10,380 „ |
| ოსმალეთი . . | 17,000 „ |

მაშინ როცა რუსეთი კუდში მისდევს კულტუროსან სახელმწიფოებს და მხოლოდ ოსმალეთს სჭარბობს საფოსტო დაწესებულებათა რაოდენობით, ფინლიანდია მხოლოდ ერთად-ერთ გერმანიას ჩამორჩენია უკან, თვით მაღალ კულტუროსან ინგლისს კი მხოლოდ მესამე ადგილი უკავია ამ რიგში.

საგარეო ვაჭრობის მხრივ პირველი ადგილი დედამიწის ზურგზე უეჭველად დიდს ბრიტანიას ეკუთვნის: იქ თვითეულ სულზე 200 მანეთზე მეტი მოდის საგარეო აღებმიცემობაში. ინგლისის მეტოქე—გერმანიამ მხოლოდ 100 მან. მიაღწია თვითეულ სულზე. „პაწია კულტუროსანი ერის" (ფინლიანდიის) საგარეო ვაჭრობა ბევრით არ ჩამორჩება გერმანიისას: 1908 წელს აქ 80 მან. მოდიოდა თითოეულ მცხოვრებზე. რუსეთი კი შედარებით შვიდჯერ ნაკლებ ვაჭრობს ვიდრე ფინლიანდია: აქ სულზე მხოლოდ 11 მანეთი მოდის.

ფინლანდია უკან არ რჩება რუსეთს თვით სასოფლო მეურნეობაშიც კი, თავისი სასტიკი ჰავისა და უნაყოფო ნიადაგის მიუხედავად.

თუ ეხლა განვითარების, პროგრესის ტენდენციასაც გავითვალისწინებთ, მაშინ კიდევ უფრო აშკარად დავრწმუნდებით ფინლანდიის კულტურულს უპირატესობაში რუსეთთან შედარებით. მაშინ როცა რუსეთი ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ერთსა და იმავე ადგილზე ტრიალებს, ფინლანდიამ ამავე დროს ერთნახევარჯერ გააფართოვა თავის საგარეო აღებ-მიცემობა, შესამჩნევად გაზარდა რკინის გზის ქსელი და გააძლიერა წარმოება. მუშათა რიცხვმა, ამ ხნის განმავლობაში 91.055 სულიდან 135,415 სულ. აიწია, ე. ი. 50% იმატა.

პროგრესსი ფინლანდიაში მხოლოდ ერთად ერთ დარგს არ ეტყობა: არაყის გამოხდას, რომელიც ამ ათს წელს თითქმის ერთ დონეზე იდგა და უფრო შემცირებისკენ მიილტოდა, ვიდრე გადიდებისკენ...

მართალია არაყის გამოხდის და „მოხმარების" მხრივ რუსეთი შესამჩნევად სჭარბობს ფინლანდიას, მაგრამ პურიშკევიჩების სავალალოდ საყოველთაოდაა ცნობილი, რომ კულტურული უაღრესობის დასამტკიცებლად სხვა რამეც არის საჭირო თვინიერ „ვოდკისა" და „მონოპოლეებისა". ეს გარემოება საიდუმლოებას მხოლოდ „პატრიოტული" ვნებათაღელვით დამთვრალი კომპანიისათვის შეადგენს, რომელიც ნაციონალური ტალახიანი „კალოშებით" სხვისი შრომით და გამჭრიახობით შექმნილი კულტურის გათელვას ლამობენ.

## სახელმწიფო სათათბირო
(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო)

**1 ივნისის სხდომა.**

თავმჯდომარეობდა **თავ. ვოლკონსკი.** სათათბირომ მიიღო სარედაქციო კომისიის მიერ მოწონებული კანონ-პროექტი დასავლეთ გუბერნიებში ერობის შემოღების შესახებ. კანონ-პროექტი სახელმწიფო საბჭოს გადაეცა. ეს საერობო კანონ-პროექტი დამყარებულია 1890 წლის 12 ივნისის დებულებაზე.

**ლერხემ** წაიკითხა ფინანსიურ კომისიის დასკვნა იმაზე, რომ სახელმწიფოს შემნახველ-გამსესხებელ კასებიდან წვრილი კრედიტის დაწესებულებათა ძირითად თანხისათვის მიეცეს ხოლმე სესხი და რომ ამ საკრედიტო დაწესებულებათა საჭიროებას მოხმარდეს სოფლის საზოგადოებათა საგლეხო თანხებიც. საფინანსო კომისიის ფორმულა ასეთი იყო: 1911 წლიდან გადადებულ იქმნას 200.000 მანეთი წვრილი კრედიტის სპეციალურ თანხების შესაქმნელად. თანახმად მომხსენებლის წინადადებისა სათათბირო შეუდგა პროექტის მუხლებრივ განხილვას. პირველი მუხლი უკამათოდ იქნა მიღებული. მეორე მუხლის შესახებ ლერხემა და ზვენგინცევმა დაიცვეს კომისიის შესწორება შემნახველ კასიდან წვრილი კრედიტის დაწესებულებათათვის გადვილებულ წესით სესხის მიცემის შესახებ. კენჭის ყრით მიღებულ იქნა კომისიის ფორმულა.

**სკოროპადსკის** მოხსენებით სათათბირომ მიიღო პროექტი ცენტრალურ სტატისტიკურ კაბინეტში ცვლილებათა მოხდენის შესახებ.

შემდეგ მიიღეს 15 კანონ-პროექტი. სათათბირო შეუდგა განხილვას რეველის ნავთსადგურის გადასაკეთებლად საჭირო ფულის გადადების პროექტისას. ზოგიერთმა განაცხადა, რომ რეველის ნავთსადგურს მნიშვნელობა აქვს დაკარგული და იმის გადასაკეთებლად 2.400.000 მანეთის გადადება ტყუილ უბრალოდ ფულის გაფლანგვა იქნებაო. კენჭის ყრით კანონ-პროექტი უარყოფილ იქნა.

ოქტომბრისტებისა და ოპოზიციის 166 დეპუტატმა სათათბიროში წინადადება შეიტანეს ებრაელთა საცხოვრებელ ადგილების განსაზღვრის გაუქმების შესახებ. კანონ-პროექტი ასეა დასაბუთებული: განახლებულ რუსეთში ებრაელების საცხოვრებელ ადგილების შეზღუდვა საშინელი უსამართლობაა. მრავალ მილიონიანი ებრაელები ყოველგვარ ვალდებულებას ასრულებენ სახელმწიფოს წინაშე და ამავე დროს უფლებით შეზღუდვილნი არიან. დღევანდელი მდგომარეობა ებრაელებისა არსებითად ეწინააღმდეგება 17 ოქტომბრის მანიფესტს, სახელმწიფოს ძირითად კანონებს და ამასთან რუსეთის ეკონომიურ წინსვლას აფერხებს. ებრაელთა შევიწროება რუსეთის ხალხში ავრცელებს მეტად საზარალო შეგნებას პატარა ერების უფლებათა შეზღუდვის სამართლიანობაზე.

შემდეგი სხდომა მოხდება 2 ივნისს.

## დეპეშები
(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 ივნისი.

**საზღვარ-გარედ.**

**მონრეალი.** „ფამი ჰერალდის" რედაქციაში გაჩნდა ცეცხლი. დაიწვა რედაქციაში მოსამსახურე 40 ქალი.

**პარიზი.** ავეჯეულობის ფაბრიკაში პოლიციასა და 3000 გაფიცულ მუშას შეტაკება მოუხდათ. ოთხი აგენტი მძიმედ არის დაჭრილი. დააპატიმრეს რამდენიმე კაცი.

**არვეილერი** (რეინის პროვინცია). არის მიდამოებში მოდიდებულმა წყალმა ბევრი ხიდი და სახლები დაანგრია, მცხოვრებთა რიცხვს 87 კაცი აკლია. იპოვეს 34 დამხრჩვალის გვამი.

**ვილლემსტადი.** კიურასოსთან ჩაიძირა მთავრობის პატარა გემი „ფანხერსტი". გემზე მოსამსახურენი, მგზავრები და კაპიტანი დაიღუპნენ. გადარჩა მხოლოდ ხუთი კაცი დაღუპულთა შორის ბუენოსაირესის გუბერნატორიც არის.

**მაინის ფრანკფურტი.** 1911—1912 წელში გაიმართება ავტომობილების გაჯიბრება პრინც ჰენრიხის სახელობაზე. გაჯიბრებას საერთაშორისო ხასიათი ექნება. მონაწილეობას მიიღებენ გერმანიისა და ინგლისის საავტომობილო კლუბები და სხვა სახელმწიფოთა საავტომობილო კავშირები. 1911 წელს კონკურენცია გაიმართება გერმანიისა და ინგლის შორის, 1912 წელს გერმანიასა, იტალიასა და ავსტრიის შორის, ხოლო 1913 წ. გერმანიასა და რუსეთს შორის.

**ლონდონი.** რეიტერის ცნობით საფრანგეთის მთავრობამ წინადადება

მისცა ინგლისისს გამართოს ლონდონში კონფერენცია კრიტეს საკითხის გადასაწყვეტად. ამ წინადადებას ინგლისის მთავრობა იხილავსო.

**ვენა.** პალატის სხდომაზე რუსინმა პუგულიაკმა გაჰკიცხა რუსოფილების მისწრაფება ბუკოვინაში და გალიციაში. ამის გამო ორატორსა და რუსოფილ მარკოვის შორის უსიამოვნება მოხდა. მარკოვმა პუგულიაკოვს სეკუნდანტები მიუგზავნა.

ბიუჯეტის შესახებ კამათის დროს ბინერტმა სიტყვა წარმოსთქვა პოლიტიკურ მდგომარეობაზე და სხვათაშორის სთქვა—ვნანობ, რომ ჩეხების საკითხის გადასაწყვეტად განზრახული კონფერენციები აღარ მოხდება, რადგან ამ კონფერენციებში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს ჩეხელმა მემამულეებმაო.

პრემიერმა გამოსთქვა იმედი, რომ ეს პარტია, რომელიც მუდამ კომპრომისს იცავდა, შეეცდება ეროვნულ საკითხში ყველა ნაციონალური პარტიები შეათანხმოს ამ გზით იგი შეჰქმნის უმრავლესობასაო.

### ო ს მ ა ლ ე თ ი

**სტამბოლი.** გარეშე საქმეთა მინისტრ რიფაატ-ფაშასთან ერთად მოვიდა ტახტის მემკვიდრე. იგი სასახლეში სულთანმა მიიღო. ფერდინანდმა დეპეშით მადლობა გადაუხადა სულთანს, რომ იგი ინახულა მემკვიდრემ.

საზღვაო მინისტრად დაინიშნა ყოფილი სამხედრო მინისტრი სენატორი სალიხ-ფაშა.

**სტამბოლი.** სტამბოლ-სოფიის ლიანდაგზე ბოროტგამზრახველებმა მატარებელი გადააბრუნეს იმ აზრით, რომ ტახტის მემკვიდრე დაღუპულიყო. იმათ ჰგონებოდათ, რომ მემკვიდრის მატარებელი იმ ღამეს გაივლიდა. კატასტროფის დროს მოკვდა შვიდი კაცი

**დეჩანის-მონასტერი.** რეკში მცხოვრებლებს კვლავ იარაღს ართმევენ. ალბანელები მორჩილობას აცხადებენ. დანგრეულია ას სახლზე მეტი. 600 თოფზე მეტი ჩამოართვეს. მალესიისკენ მალე 30 ბატალიონი გაილაშქრებს სამთო ზარბაზნებით.

**სტამბოლი.** ოსმალეთის მთავრობამ ათინაში პროტესტი განაცხადა ოსმალეთის ქვეშევრდომების და ეგვიპტის პრინცესების ცემის წინააღმდეგ პირიეში ბრბოს დაცემის დროს გემ „იმპერატორ ტრაიან“-ზე და მოითხოვს დამნაშავეთა დასჯას.

### რ უ ს ე თ ი

**კიევი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოგზავნილი განსაკუთრებული კომისია შეუდგა ადგილობრივ პოლიციის უკანონო მოქმედების გამოძიებას.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ სათათბიროში შეიტანა საქალაქო დებულება პოლონეთის გუბერნიებისთვის.

**ატკარსკი.** შეიპყრეს ცხენის ქურდების ჯგუფი. დააპატიმრეს მდიდარი ჩარჩიც, რომელიც მოპარულ ცხენებს ასაღებდა.

**მოსკოვი.** დილის რვა საათზე განახლდა ტრამვაის მოძრაობა.

**რიგა.** ინგლისიდან მოსულ ნახშირის გემ „გენერალ ციმმერმანზე“ აღმოაჩინეს ლათინურ ენაზე დაბეჭდილი პროკლამაციები და არა ლეგალური ლიტერატურა. როგორც ეტყობა ეს ლიტერატურა ადგილობრივ სოციალ-დემოკრატებისთვის იყო გამზადებული.

### ხ ო ლ ე რ ა

**ნოვოჩერკასკი.** დონეცის ოლქის ხუთ ახალ ადგილას გაჩნდა ხოლერა. ჩერკასის ოლქში ხოლერით ავად გახდა 16, გარდაიცვალა ერთი კაცი. როსტოვის ოლქში ხოლერით გარდაიცვალა ცხრა კაცი.

**კერჩენიკალე.** ხოლერით გარდაიცვალა ერთი მეზღვაური.

## ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **წ. კ. გ. საზოგადოება.** დღეისთვის წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის სხდომაა დანიშნული რამდენიმე მორიგ საქმეთა განსახილველად.

✦ **შეიარაღებულ პირის შეპყრობა.** 1 ივნისს, საღამოს 9 საათზე პუშკინის ბაღის მახლობლად მდგომ მორიგ პოლიციელ რუდნევისთვის ფარულ პოლიციის აგენტებს მიუთითებიათ ორ მიმავალ ახალგაზრდაზე, იარაღი აქვთო. ერთს ახალგაზრდას ეს შეუმჩნევია, მაშინვე მოშორებია ამხანაგს და მიმალულა მეორე ახალგაზრდას მიახლოვებია პოლიციელი და დაუყვირია: „ხელები მაღლა“-ო, მაგრამ უცნობს არ შეუსრულებია ბრძანება და ერევნის მოედნისკენ გაქცეულა. პოლიციელს ყვირილი მოურთავს და მესამე უბნის ბოქაული პოლიციელებით მეეზოვეებთან ერთად მსწრაფლ დასდევნებია უცნობს. უკანასკნელს ერევნის მოედანზე წინ შეჰგეთებიან მაძებარ პოლიციის აგენტები, რომელთაც რევოლვერი უსვრიათ, მაგრამ უშედეგოდ, ხოლო შემდეგ შეუპყრიათ. იქვე პოლიციელებმა იპოვეს შეპყრობილისგან გადაგდებული რევოლვერი ხუთი ტყვიით და ხანჯალი. უცნობს ჯიბეში აღმოაჩნდა 3 პატრონი რევოლვერისა. ის აღმოჩნდა განჯის მაზრის სოფ. ერკეჩის მცხოვრები ნიკოლოზ სოლომონის ძე ლალაევი 18 წლისა და განაცხადა, განოვის ქუჩაზე აკოპჯანოვის სამკერვალო სახელოსნოში ვმსახურებო. იარაღის შესახებ პოლიციას სხვა და სხვა არეული ჩვენება მისცა.

✦ **დის მოკვლა.** როგორც სურამიდან გვატყობინებენ, 1 ივნისს ადგილობრივ მცხოვრებს, პოლიციის მოსამსახურეს დავით კონსტ. აბაზაძეს რევოლვერით მოუკლავს თავი და სონა კონსტ. კორძაიასი.

✦ **სომეხთა გამომცემელი საზოგადოება.** 1 ივნისს სომეხთა გამომცემელ საზოგადოების წევრთა კრება მოჰხდა. კრებამ გადასწყვიტა დაარსოს საზოგადოების ფილიალური განყოფილებანი ბაქოსა, ალექსანდროპოლსა, ბათუმსა, ჯულფასა, ახალ ბაიაზეთსა და სხვაგან. აგრეთვე გადასწყვიტა პრინციპიალურად, რომ ჰონორარი მიეცეთ როგორც ორიგინალურ, ისე თარგმნილ ნაწარმოებთა ავტორებს. საზოგადოება დიდი ხანი არ არის, რაც არსებობს და 400 წევრი ჰყავს.

✦ **კერძო პროგიმნაზია ბათუმში.** კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ ქ-ნ არნოლდის ნება დართო გახსნას ბათომში პროგიმნაზია, სადაც ორივე სქესის მოწაფენი ერთად ისწავლიან. ამ პროგიმნაზიაში კურს დამთავრებულ მოწაფეებს ისეთივე უფლება ექნებათ, როგორიც მთავრობის ვაჟთა პროგიმნაზიებში კურს დამთავრებულთ.

✦ **გადასახლებულთა შეპყრობა**, ამ დღეებში ტფილისში შეიპყრეს ლეჩხუმის მაზრის სოფ. ლაილაშის მცხოვრები კონსტანტინე ჯაგამაძე და გორის მაზრის სოფ. ქოჩორის მცხოვრები რაჟდენ ტორაშვილი, რომელნიც ადმინისტრატიულის წესით ყოფილან გადასახლებულნი და თავის ნებით დაბრუნებულან,

✦ **პასუხის გებაში მიცემა.** პასუხის გებაში იქმნენ მიცემულნი ტფ. პოლიციის ყოფილი დროებით ბოქაული პ. ოკონოვი და ყოფილი პოლიციელი დ. ბიჭინაშვილი. მათ ბრალდებათ სამსახურის აღსრულების დროს ახვერდაშვილისა და ბურდულაძისთვის მოქმედებით შეურაცყოფის მიყენება.

✦ **სეტყვა და ხოდოკები.** თიანეთიდან გვატყობინებენ, რომ სოფელ ჟინვალის მიდამოებში კვერცხის ოდენა სეტყვას სულ ერთიანად გაუნადგურებია ყანები და გლეხობა უკიდურესს მდგომარეობაში ჩაუყენებია, თვით თიანეთს კი რუსეთიდან მოსული გლეხები სწვევიან, სამხედრო უწყების კუთვნილი მინდვრების დასათვალიერებლად და სასყიდლად.

✦ **თავდასხმა.** როგორც გადმოგვცეს სოფ. თრანში (თიანეთის მაზ.) 25 მაისს დღისით რვა შეიარაღებული ბოროტგანმზრახველი თავს დასხმია პავლე და დავით გუგუდაშვილების სახლს. ხუთი შიგ შესულა, სამი კი ყარაულათ გარედ დამდგარა, ყველაფერი რაც კი უგდიათ ხელთ: ქამარ-ხანჯლები, უბის მასრები, ვერცხლეულობა, სამი ხელი ტანისამოსი და სხვ. წაუღიათ აქ ნაძარცვები. წაუღიათ სხვათა შორის რვა სხვა და სხვა მამულის ნასყიდობის საბუთი და კვიტანციები. ერთი მოხუცებული ქალი შიშით ლოგინათ ჩავარდნილა. მძარცველები ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

✦ **კურსდამთავრებულნი.** მოსკოვის უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებელი წელს სამმა ქართველმა დაამთავრა: ერეკლე ბურჯანაძემ, ვახტანგ მაყაშვილმა (ქიმიური განყოფილება) და გ. გვერდწითელმა (ტეხნიკური).

✦ **1 ივნისს ბოდბიამ შეიპყრა.** პირველ საპოლიციო უბანში ერთი, ხოლო მესამეში შვიდი უბინაო კაცი.

### ქ უ თ ა ი ს ი

✦ **რევიზიის დამთავრება.** თავად-აზნაურთა კრებაზე არჩეულ სარევიზიო კომისიას დაუმთავრებია სადეპუტატო საკრებულოს შემოსავალ-გასავლის რევიზია.

როგორც გავიგეთ ამ რევიზიას გამოუკვლევია, რომ დეპუტატთა საკრებულოს აკლია 9000 მანეთზე მეტი; ამ დანაკლისის გასამართლებლათ თ-დ ს. წერეთელს საბუთები არ წარუდგენია სარევიზიო კომისიისათვის! ამავე კომისიას გამოუკვლევია, რომ თ-დ დ. ნიჟარაძეს მიცემული ჰქონია 720 მანეთი ახლად შეძენილ ადგილის დასამტკიცებლად. ეს ფული თ-დ ნიჟარაძეს უნაკლულოდ დაუბრუნებია და ამასთან მისთვის მიუცია სარევიზიო კომისიას საბუთი, რომ იმას ყოველივე ანგარიში გაწმენდილი აქვს.

✦ **მექანიკური გზა.** ამ ჟამათ ჭიათურაში იმყოფება ბლეიხერდოსა და ეიზნერის ფირმის წარმომადგენელი ეიზნერი, რომელსაც მოლაპარაკება აქვს გამართული შავი ქვის მრეწველთა საბჭოსთან მექანიკური გზების (спуски) გასაკეთებლათ მაღაროებიდან რკინის გზის ლიანდაგამდის. ამნაირი გზა უნდა გაკეთდეს 15-20 ადგილას და მას მილიონზე მეტი დასჭირდება. ჯერჯერობით არ შეთანხმებულან.

## პატარა ფელეტონი

### გამოსაცდელი წარმოდგენა

ფარდა ჯერ არ ახდილა. სცენაზე დაგროვილან ლოლუა, ღოღაძე, ვანელი, მამფორია, ლობჟანიძე, შანშიაშვილი, წუწუნავა, გიგაური და ვიქტორელი; ყველანი გაფითრებული არიან; ხელები უკანკალებთ, ფეხები უძაგძაგებთ და პირდაღებული მისჩერებიან იქავე მდგომ დრამატიული საზოგადოების წევრებს. სკამზე ადის ნ. ქართველიშვილი და მირაბოს პოზით მიჰმართავს არტისტებს,—უკაცრავად — „მომავალ მსახიობთ“:

**ნ. ქართველიშვილი**

ქალბატონებო და ბატონებო! მართალია თქვენ გჭირთ—ძნელი, მაგრამ არც ჩვენა ვართ მშრალად; თქვენ გიკანკალებთ გული, მაგრამ არც ჩვენა ვართ მშვიდად. ეხლა, ამ ღრუბლიან ღამეში უნდა ამოვიდეს თქვენი ვარსკვლავი. არც თქვენ დაიხათ თავს ლაფი და არც ჩვენ შეგვარცხვინოთ. რა აიხდება ფარდა—თქვენ იხილავთ რეცენზენტებს მსხვილებს და წვრილებს, მაღლებს და დაბლებს, ხნიერებთ და ახალგაზრდათ. ნუ შეძრწუნდებით მათგან, იმედი გქონდეთ, რომ ისინი ლმობიერად მოგექცევიან თქვენ, უსუსურებს.

გახსოვდეთ, რომ თქვენა ხართ პირველი ნაბიჯი ახალი დრამატიულის გამგეობისა. არ შეგვარცხვინოთ, არ გაგვაწითლოთ და სანაცვლოდ ამ ჩვენ თეატრს აღარ მივსცემთ მოსულ რუსებს. აქ მხოლოდ ჩვენ ვიბატონებთ და ჰერიში ვკრავთ ყველა ქუდებს.

(ტაშის კვრა არ არის. ქართველიშვილი ოფლის წმენდით გადის კულისებში, წინ წამოდგება ნ. ლორთქიფანიძე.

**ნ. ლორთქიფანიძე**

ყმაწვილებო! თქვენ იცით რა არის თეატრი. იცით, რომ მე ვარ ახალი გამგეობის წევრი; ისიც გეცოდინებათ, რომ მე ვსწერ მინიატიურებს. თუ კარგად გვასახელებთ — ორი დღის შემდეგ ჩემგან ელოდეთ საჩუქრად იცით რას?—მინიატიურას...

**ნ. ერისთავი**

გაუმარჯოს ახალ გაზრდა ჯგუფსა სასცენოს; თუ არ შერცხვით—ყანწით დავცლი თქვენ სადღეგრძელოს; გეტყვით რეჩსა ბევრსა, ბევრსა ხმითა მაღალით და „ვენახში“ [1]) მიგაცილებთ ჰარიალალით.

დაფაცურდა შ. მიქელაძეც: ჰხედავს რომ ყველა რაღაცას ჰპირდება და არც მას უნდა ჩამორჩეს სხვებს. სათვალეებს ხელში დაიჭერს წკიპურტად და „დილ დი დალალეს“ ხმაზე შესძახებს.

**შ. მიქელაძე**

თუ შემდეგშიც ჩვენი კასა დარჩება ფუჭი, მაშინ ვიცი არ გაძ-

[1]) „ვენახი“-ეს ერთად ერთი ღვინის სარდაფია, სადაც ნიხიად ენდრებიან ქართველ არტისტებს.

## მ თ ე ბ შ ი

### ჩანგს აღარ ვაჟღერ.

ჩანგს აღარ ვაჟღერ განთიადისას,
მთანი მაღალნი თვით დამღერიან;
სერიდან ვუმზერ მზისა ამოსვლას,
ალაზნის პირად ტყენი ჰშვენიან!

კავკასიონსა კვლავ თოვლი ამკობს
და ლურჯი ნისლი დაბლა ჰპლასა;
დღეს აღარ ვმღერი, ვსტკბები მშვენებით...
ფერადს ბუნებას ვაძლევ სალამსა!..

—

### შ ვ ე ლ ი

მკვირცხლად გამოხტა შველი დამფრთხალი,
მისცურავს, ბუჩქებს არ ერიდება;
ელვის სისწრაფით გაჰქრა, აღარ სჩანს...
თვალი დაეძებს, შორს იმზირება!..

და მომაგონდა: ერთხელ მიჯნური
ვიხილე ესრედ სულის მტანჯველი;
ისიც მოჰფარდა... მსურს კვლავ ვიხილო
და გადვიყარო წუთით ნაღველი!..

მაგრამ ყვავილმა მითხრა: ნუ ელი
ის დაივიწყე, მე შემიყვარე;
გადავიშლები შენთვის ნარნარად...
შემამკე ჰანგით... ტანჯვა იკმარე!..

### ხმა სალამურის.

მთაზე მესმოდა ხმა სალამურის,
მიჰქროდა, ტყეში იკარგებოდა;
იქ მოუთხრობდა ვარდსა ტკბილს ამბავს:
ბულბული როგორ იტანჯებოდა!

ოჰ, ჩემი ლექსი ამას ვერ შესძლებს:
სატრფოს აუწყოს სევდა გულისა;
უთხრას: უდაბურს ადგილსა მყოფი
მსხვერპლია შენი სიყვარულისა!..

### ჩემი სიმღერა.

I.

ამ მაღალს მთებში ვინც კი იგალობს,
გრძნობა დამშრალი სულ ვერ მიჰხვდება;
ჩემი სიმღერა აქ დაიბადა,
და სხვისთვის უცხო აქვე იზრდება;

ნეტა აკორდიც აქვე დასრულდეს,
ნიავი მეტყვის ზანსა მწუხარეს;
და ალაზანი ნელის დუდუნით
ტანჯვით დამაფრქვევს ცრემლსა მდუღარეს.

II.

ჩემი სიმღერა ჰანგია გლოვის,
თვით ობოლ ერის გამოძახილი;
მაღალმა მთებმა ჭაბუკს აღმიძრეს
ამაყი სული, გრძნობით ღვსილი.

დამხობის ჟამსა, დაბინდებისას
ფარულ ვიტირე ცრემლით მწუხარით;
იგი არ იყო მოთქმა ლაჩრისა,—
მტერს გარდაეცით; ასე უთხარით!

ტბად გარდაიქცა ცრემლი უმანკო
და ჩაექსოვა ღელვა ტალღისა;
ქედმაღლობითა, აჰა, გზას იკვლევს
მარად ერთგული წმინდა აღთქმისა!..

### სევდის დუმილი.

სევდის დუმილი!.. სევდის დუმილი!
თავს დამფარფატებს... ლეჩაქს მაფარებს;
ოცნების კოცნა სატრფომ დამიჰკნო
ხმა ალერსისა ვეღარ მახარებს.

მთის ნელი სიო, ასული ვნების,
ნანას მიგალობს განმარტოებულს;
თვით მოგონებაც ვეღარ აანთებს
გრძნობას მიმქრალსა და მიძინებულს!

ჰანგი უსიტყვო, მიმკვდარებული
სულს ჩაექსოვა, სურვილ მილეულს;
ვეღარ მოისმენს სატრფო სიმღერას
სევდის დუმილის ქსელში გახვეულს.

სალამოს მწუხრი დავიმეგობრე,
ყვავილის აჩრდილს ვეამბორები;
და ჩამჩურჩულებს: განუყრელი ვარ,
ცივს სამარეში თან ჩამოგყვები!..

სევდის დუმილი კუბოს მიმზადებს,
თავს დამფარფატებს, ლეჩაქს მაფარებს;
ოცნების კოცნა სატრფომ დამიჰკნო..
უცხოს ალერსი ვერ გამახარებს...

მაისი ქიზიყი. **ა. შანშიაშვილი.**

## თეთრი ჯვარი

(ნაჩულ-გაგონილი ამბავი).

ივნისის ერთს მშვენიერს დღეს ვიჯექი მდინარე წყლის პირას და ჩემთვის ვკითხულობდი წინა დღეს მიღებულ ქართულ გაზეთს, ორი საათი მეტი ვიჯექი უძრავად; ამ დროის განმავლობაში ჩემს წინ ბევრმა ხალხმა აიარ-ჩაიარა, ბევრიც იჯდა ცოტა ხნობით იმ რკინის სკამზედ, რომელზედაც მე ვიჯექი, მაგრამ მე ყურადღებას არავის ვაქცევდი.

ის იყო გავათავე კითხვა და წამოდგომას ვაპირებდი, რომ სწორედ ამ დროს ვიღაც მომიჯდა გვერდს, სრულიად ახლოს. შეხედე; ისიც შემომყურებდა. ძნელი გასარჩევი იყო ეს კაცი ტიპის მხრივ, თუ რა ერისა იყო და ან რა რჯულისა, მაგრამ მისი დაღარულ-დამჭკნარი სახე ადვილად გვამცნევდა ჯერ ისევ ახალგაზრდა კაცის უზომო მწუხარებასა და და რდ-ვარამს.

— ქართველი ხართ?—მკითხა უცნობმა ქართულად.

— დიახ,—მიუგე მე,—ქართველი ვარ.

მისმა დაღონებულმა სახემ ერთს წამში მხიარული გამომეტყველება მიიღო, გამოიცვალა.

— თუ არ ითაკილებთ ჩემთან ნაცნობობას,—მითხრა მან—მე გახლავარ თედო ლომიძე, გორელი კაცის შვილი, ტფილისში დაბადებულ-გაზრდილი და იქაურ მოქალაქედ ჩაწერილი.

— ძლიერ სასიამოვნოა ჩემთვის თქვენი გაცნობა,—ვუპასუხე მე,—აქ, ჩემო ძმაო, სათაკილო არაფერია; ჩვენ, ერთის დედის შვილნი, ისე უნდა ვიყვნეთ და ვიცხოვროთ, როგორც ერთის დედის შვილნი, როგორც ძმანი. კი არ უნდა ვთაკილობდეთ ერთმანეთის გაცნობას, არამედ უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება მჭიდროდ დაახლოვება-დაკავშირება ერთმანეთთან.

— მართალს ამბობთ, ძმაო,—მითხრა თედომ,—მაგრამ ვინ დაგიდევს ახლანდელს დროში მაგეებს. არა თუ უცხოსთან დაახლოვებას, ძმა ძმასაც კი გაურბის!

— გავიარე,—განაგრძო მან,—შინ მივდიოდი; ქართული გაზეთი რომ დევინახე, გამეხარდა, დავდექი აქა და გავბედე დალაპარაკება; ვიფიქრე—გავიგებ რამეს-მეთქი.

— ძლიერ კარგად მოიქეცით, რომ დამელაპარაკეთ; შეგიძლიათ ყოველ დღე ისარგებლოთ ჩემის გაზეთით და შეიტყოთ საბრალო ქვეყნის ამბავი.

— მადლობელი ვარ... რა ამბავია ჩვენში?—მკითხა მან.

— არ იცით, რა დროა ახლა,—მიუგე მე,—უბედურება და უსამართლობა ყოველს ნაბიჯზე, ვაი-ვაგლახი...

— ჰაი გიდი; ვინ იცის, რა არა ხდება ჩვენში და მე კი დავწანწალებ აქ, ამ ოხერ ქვეყანაში დაკარგული ინდაურივით,—თავის ქნევით წარმოსთქვა თედომ.

— ბევრი ხანია რაც აქა სცხოვრობთ?—ვკითხე მე.

— ახლა მე ორმოცდა სამი წლისა ვარ, აქ რომ მოველი, ცხრამეტის წლისა ვიყავი, სულ ოცდაოთხი წელიწადია.

— ბინა სადა გაქვთ, ან სადამ მსახურებთ?

— მე თითონ დურგალი ვარ ხელობით, სხვა და სხვა ადგილებში მიხდება მუშაობა; ვცხოვრობ ნარვის ქუჩაზე, პუტილოვის ქარხნის ერთ მუშასთან. ძალიან კარგი ბიჭია და არეულობის დროს ბევრი საქმეებიც გააკეთა. გარდა ამისა, წინად სხვა ადგილებშიაც ყოფილა. უმეცადინია. ხუთი-ექვსი წლის წინად ბაქოსა და ტფილისშიაც ყოფილა.

— ამ ხნის განმავლობაში, რაც აქა ხართ, ყოფილხართ თუ არა სამშობლოში?

— არა, ჩემო ძმაო,—ნაღვლიანად წარმოსთქვა თედომ,—რამდენჯერმე გადავწყვიტე წავალ-მეთქი, მაგრამ არ მოხერხდა.

— რამ შეგიშალათ ხელი?—ვკითხე მე.

— რამა და იმან, რომ ამ ხნის განმავლობაში ბევრი უბედურება გამოვიარე და ბევრი რამ გამოვცადე. თუ გნებავთ, გიამბობთ დაწვრილებით. როცა ვინმეს ვუამბობ ჩემს ამბავს, თითქო გულზე მეშვება რამეო.

— მიამბეთ, სიამოვნებით გიგდებთ ყურს.

— ჯერ ისევ თექვსმეტის წლის ბიჭი ვიყავი, რომ დამებადა სურვილი უცხო ქვეყნებში მოგზაურობისა,—დაიწყო თედომ,—და ეს სურვილი მოსვენებას არ მაძლევდა. მე ობოლი ვიყავი და ვცხოვრობდი ბიძასთან, ხელობით დურგალთან, რომელიც თავისს ხელობას მასწავლიდა. თექვსმეტის წლისამ ხელობის შესწავლა გავათავე და უკვე ჩემთვის ვმუშაობდი. ვიმუშავე ერთი წელიწადი, ცოტაოდენი სამგზავრო ფული შევაგროვე. სწორედ ოც-და-ოთხის წლის წინად გამოვეთხოვე ჩემს სამშობლო ქალაქს, ნათესავ ნაცნობებს და გავემგზავრე ფოთისაკენ, საიდანაც მალე ოდესაში წაველი. ოდესსაში ორი კვირა დავყავი, ხოლო შემდეგ პირდაპირ აქ ამოვყავი თავი და მას შემდეგ, როგორც ხედავთ, დავრჩი აქ ვერიანა ქალაქში.

სამის წლის მოსული ვიყავი აქა, რომ გადავწყვიტე ოჯახის მოკიდება და შევასრულე კიდეც. რვა წელიწადი ვიცხოვრე ცოლ-შვილით ბედნიერად; ამ დროის განმავლობაში სამი შვილი მომეცა—ორი ვაჟი და ერთი ქალი, ნინო.

ნინო სულ ექვსი წლისა შეიქმნა, მაგრამ ისეთი ჭკვიანი, ისეთი მოტიტინე და მოლაპარაკე იყო, რომ ყველას უკვირდათ მისი ამბავი. როდესაც ჰკითხავდნენ: „შენ ვინა ხარო“? ნინო უპასუხებდა: „მე ქართველი ქალი ვარ, შენ თითონ ვინა ბრძანდებიო“? ვმუშაობდი ჯანღონით სავსე, მუშაობდა ჩემი ცოლიც სახლში და ვიყავით ბედით კმაყოფილნი. საღამოთი, როდესაც ვბრუნდებოდი სამუშაოდან, ნინო ყოველთვის ქისკართან მეგებებოდა და ტიტინით მიმაცილებდა სახლამდე. მიხაროდა, ვფიქრობდი ცოლშვილით სამშობლოში დაბრუნებას, მაგრამ ჩემს სიხარულს მალე ბოლო მოეღო და ჩემი სურვილიც სურვილად დარჩა!.. ორის თვის განმავლობაში ცოლ-შვილი ხელიდან გამომეცალა და დავრჩი მარტოკა, მეორედ დავობლდი...

— განა რა დაემართათ ისეთი?—ვკითხე მე.

თედომ მოიწმინდა ცრემლიანი თვალები და განაგრძო:—ერთს დღეს ჩემდა საუბედუროდ, მუშაობიდან მე პირდაპირ შინ არ წაველი, როგორც ყოველთვის, და შეველი ერთს ტრაქტირში, სადაც ერთს საათზე მეტი ვიჯექი. ტრაქტირიდან ცოტათი შექეიფიანებული გმოველი

ლება არც თქვენი კუჭიო. თუ სიმშილით ავად გახდეთ—მომიგონეთ მეო წამალს მუქთად გამოგიწერთ, გაგიღიმებთ მზეო.

(ახალგაზრდა მსახიობთ ცა ტა იმედი ეძლევათ.)

**ვ. შალიკაშვილი.**

ყმაწვილებო, ხომ გაგიგიათ ნემიროვიჩი დანჩენკო და სტანისლავსკი?—ჰო, ეს ისე სხვათა შორის, ხი, მოსკოვში რომ ვიყავი! მე ის უნდა მეთქვა, რომ მართალია დრამატიული გამგეობის ზოგიერთა წევრები აქ [აღ]არ არიან, აი როგორც ნახუცრიშვილი, კლდიაშვილი (მათ ჩვეულებად აქვთ დაგვიანება) მაგრამ მათ მაგიერ მე გაძლევთ პირობას, თუ სახელოვანი იქნება დღევანდელი ტურნირი თქვენი, ყველა ღირსეულად დააფასებს თქვენ მაღალ ნიჭს, ჩემგან გაწვრთნილს და დაუბრკოლებრივ მოაწერენ ხელს თქვენ მოწმობას „ქართველი არტისტისას“. მაშ გაუმარჯოს ნემიროვიჩ დანჩენკოს და სტანისლავსკის!

**იოსებ იმედაშვილი.**

ეჰ, ყმაწვილებო მე რაღათა ვგონივართ ეგრე გულქვა! გეფიცებით ხსოვნას ჩემი მამასახლისობისას და... არტისტობისასაც, მეც ვიცი ნიჭების პატივისცემა!

თუ არ შეირცხვენთ სცენაზე თავსა, ჟურნალში დავბეჭდავ ყველას სურათსა. თუ წერილს დასწერთ ხელოვნებაზე, უარს ვით გკადრებთ მის დაბეჭდაზე! ჟურნალი გამოდის, ვფიცავ ჩემს ხარჯზე, ვსწერავ თეატრზე და ცხოვრებაზე.

სამი ზარი. ფარდა იხდება. გ. დიასამიძე აღტაცებული თავს ძლივს იმაგრებს, რომ ტაში არ დაუკრას. პარტერში სხედან რედაქტორები, რეცენზენტები, დაპატიჟებულნი, მაგრამ თეატრი მაინც სამ მეოთხედზე ცარიელია. ყველა ამაყურადა გრძნობს თავს, როგორც მსაჯულნი, სხვის ბედის გადამწყვეტნი. ყველაზე სერიოზულად კი პირველ რიგში ერთი უცნობი სტუმარი ზის. მეტად მსუქანი, შეხედულება ბაყბაყ მდევისა, აი ფოცხვერაშვილმა რომ დაგვანახვა. იგი თურმე ხუთი ბილეთით მოეწვიათ და სამ სკამზე იჯდა ერთად. ლ. მეტრეველი და მაჰავარიანი ერთმანეთს ეფიცებოდნენ, რომ ამ სიმპატიურ სტუმარს პირველად ხედავენ ქართულ თეატრში და არა მესედ, როგორც შეიძლება ფიქრობდეს ზოგიერთი გულუბრყვილო.

წარმოდგენა, რასაკვირველია, დაიწყება ფარდის ახდიდან. ახალგაზრდა მსახიობნი ხან ჯდებოდენ სკამზე, ხან ფეხზე იდგნენ, ხან კარებში გადიოდენ, (ჰო, ამბობდენ კიდევ რაღაცას—მართალია პაუზებით); ზოგს ძალიან გრძლადაც ეჩვენა ეს პაუზები. მაგრამ საბრალოებმა ის კი არ იციან, რომ თვით ჰაუპტმანი უფრო მეტს პაუზებს აკეთებდა წერის დროს და ჩვენი არტისტებისა კი გაუკვირდებათ ხოლმე ყველაფერი.

მაგრამ პარტერი კი, არა საზოგადოება, ოხ, რა მოუსვენარია იგი!

საწყალი ვანელი და მამფორია საშინელ ტანჯვას, ოფლის წურწურს განიცდიან ოცი წუთის განმავლობაში (ოცწუთს ვარაუდით ვამბობ, იქნებ ვსცდებოდე, ბოდიშს ვიხდი), პარტერში კი... აგერ ახალგაზრდა სტუდენტი ახალგაზრდა ქალს ეფიცება, რომ ცხინვალის ჰავა სათავად-აზნაურო ბაღის ჰავას სჯობია და ლიახვი ცხინვალის ხიდ ქვეშ გადის ისევ; ანტონ ფურცელაძე გ. დიასამიძეს ბანკის კრებების შთაბეჭდილებებს უზიარებს; ორი ქართველი არტისტი პირობასა სდებს ამაღამ სად დაითრონ; სამი „დროების“ თანამშრომელნი რედაქციის საქმეებზე მსჯელობენ. „ნოვაია რეჩის“ რეცენზენტი ლ. ყიფიანის გარეგნობაზე სწერდა, რომ იმას ულვაშები აბზეკილი ჰგონდა ვილჰელმ მეორესავით. „ზაკავკაზიეს“ რეცენზენტი კი პროექტს ადგენდა, თუ სად დაითროს ყიფიანთან და რომელი ბალკონიდან აგინოს, უკაცრავად, ლანძღოს გოთუა და მისი გაზეთი. „ჩვენი გაზეთის“ რედაქტორი კი თვალებ აპყრობილი, კ. ჩხეიძის სიტყვაზე ოცნებობდა.

ჩამოეშვა ფარდა. მორჩა ტრაგედია.

**საზოგადოების ხმა**

— კარგია!

— არ ვარგა!

— ხმა არც ერთს არა აქვს.

— მამფორია მშვენიერად ლაპარაკობს!

— შეხედულობა არც ერთს არ უვარგა.

— გამოდგებიან!

— ტყუილად შეწუხებულან!

— ლოლუას კაი თვალები აქვს.

— არაფრის მაქნისია.

იოსებ იმედაშვილი უკვე გაჩნდა პარტერში და ყველა ხმებს უკომენტარიოდ იწერს დავთარში თავის ჟურნალისთვის, სათაურად დააწერს „ინტერვიუ საზოგადოებასთან“ როგორც გ. თუმანიშვილმა ასწავლა იანვრის ერთ ერთ ნომერში.

**გ. დიასამიძე**

— გეფიცებით საუცხოვო მსახიობნი დადგებიან. ჯერ ეხლაც აღტაცებაში ვარ მე.

ვახტანგ ლამბაშიძე საპასუხოდ ილიმება, რასაკვირველია **ქართულად**, რუსულად მას არ შეუძლიან ღიმილი.

ი. ზურაბიშვილს ხმა მიბნედოდა და ამიტომ მისი ლაპარაკი კარგად ვერ ესმოდათ ბუფეტიდან ბაღის მეორე ბოლომდის, მაგრამ რაც მის უმთავრეს ტეზისს შეადგენდა, ყველამ გაიგო.

**ი. ზურაბიშვილის ტეზისი**

— სახალხო თეატრი ყველას სჯობია კ. შათირიშვილის რეჟისორობით და ჩემი პრემიერობით.

ეს აზრი ისე მოეწონა ერთ კაცს, რომ აღტაცებულმა სამჯერ ვაშა შესძახა; სხვათა შორის ეს კაცი საშინლად ჰგავდა ერთ პატივცემულ და ცნობილ თავადს (ეს შენიშვნა შეიძლებოდა არც დამეწერა).

მე აქ ვაპირებდი ჩემი წერილის გათავებას და ის კი დამავიწყდა, რომ მეორე მოქმედებაც დაიწყეს და მე სამეც გაათავეს.

შთაბეჭდილება მე მგონი ისეთივე იყო, როგორც პირველში: ან შეიძლება ვსცდებოდე, რადგან კარგად ვერა ვხედავდი, წინ ერთი ბანოვანი მეჯდა, რომელსაც ქუდის მაგიერ ქოლგა დაედო თავზე და ყველაფერს მიჩრდილავდა.

საზოგადოება მიდის ლაპარაკით.

— გიგაურისა „პოეტობა“ კი მესმის, მაგრამ არტისტობა კი არა!

ეს, მგონი. მეტრეველის ხმასა ჰგავდა.

— ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა და ისიც მიუმატესო, ჩვენ სცენას კი ერთბაშად შვიდი მუგუზალი ემატება.

ეს ხმაც ნაცნობია, პ. სურგულაძე უნდა იყვეს.

— ღმერთმანი არ ვიცი რა ვქნა! ვაქო—ტყვილი იქნება, ვაძაგო-ცუდი იქნება. ამაღამვე უნდა კენჭი ვუყარო ამ ორ აზრს.

ეს გ. ქიქოძეა. რეცენზიის დაწერაზე სწუხს.

არტისტები საზოგადოებაზე ადრე გაპარულიყვენ სცენიდან. დრამატიული გამგეობის წევრები გაწითლებული დასეირნობდენ ბაღის ბნელ კუთხეში; სხოლოდ საზოგადოებას ეჭირა ამაყად თავი და თავისუფალი მსჯელობით მიდიოდა შინისკენ. ი. იმედაშვილი კი იწერდა და იწერდა ყოველ სიტყვას ყოველი კაცისას.

ჰო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა, შალიკაშვილი გაბრაზებული სულ მოსკოვისკენ იცქირებოდა და გული უცემდა, ქ. ჯავახიშვილმა ერთი გირვანქა ბალი იყიდა ზამთრის სეზონიდან გადარჩენილი ფულით და ისევ დაუმშვიდა გული.

ასე გათავდა გამოსაცდელი წარმოდგენა.

**კვესი.**

## ქუთ. საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრება.

31 მაისის სხდომა.

ჩემი მდგომარეობა გაზეთის მექრონიკისა მავალებს ყოველს საზოგადოებრივ მოვლენას ობიექტიურად შევხედო და მიუდგომელი აზრი გამოვთქვა ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენაზე, მაგრამ რაც ეხლა ქუთაისში ხდება, ისეთი რამ კაუგებარია, რომ ანგარიშის გაწევა თუ შეუძლებელი არა, მეტად ძნელი მაინც არის.

ბანკის რწმუნებულთა კრების მოლოდინში ყველაფერი აირია, ძაღლი პატრონს ვეღარა სცნობს და არ გამიკვირდება, თუ ნეტარხსენებულ „ბანკოვიადას“ დავუბრუნდებით.

აიღეთ თუ გინდათ საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა მიიღოს მონაწილეობა რწმუნებულთა კრებაში.—ახლად არჩეულმა თუ ძველმა. ერთი შეხედვით საკითხი მარტივია—თავად-აზნაურთა—უკანასკნელი კრების მიერ არჩეული კაცები მთავრობამ არ დაამტკიცა, მაშასადამე, ახლა რწმუნებულთა არჩევანია კანონიერი. დიდიკა ასეთია, მაგრამ უკიდიმანჭურთა ქუთაისში არა კეთდება-რა და არც ეს საკითხი დარჩა უამისოთ.

ჯერ იყო, და ზედამხედველმა კომიტეტმა როცა კრებას ექვსის მაგივრათ 4 კაცი დაესწრო, გადასწყვიტა ხმის უფლება ახლად არჩეულებს მიეცეთო, მერე ზედამხედველი კომიტეტის თავმჯდომარე და მისი ამხანაგი კიდევ ცალკე შეეკითხენ მთავრობას, რომელმაც ორჭოფული პასუხი მისცა. ბანკი აზნაურების კერძო კომერციული საქმეა და თავად-აზნაურობამ უნდა გადასწყვიტოს ახლად არჩეულთ მიეცემათ ხმის უფლება თუ ძველებსაო.

იმის მაგივრათ, რომ საკითხის განმარტება მოეთხოვათ თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოსაგან, ამ განმარტებით დაკმაყოფილდნენ, გარდა ზედამხედველი კომიტეტის თავმჯდომარისა, რომელსაც მიუმართავს ფინანსთა მინისტრისათვის და პასუხიც მიუღია, რომ თუ ახალი არჩევნები უკანონოა, ძველმა რწმუნებულებმა უნდა მიიღონ მონაწილეობაო.

სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია საქმის გამწვავება. კრების წინა დღით ზედამხედველი კომიტეტის სხდომაზე კომიტეტის წევრს თ-დ დ. მიქელაძეს მიუმართავს თ-დ ს. წერეთლისთვის თხოვნით, რომ მას ეჩვენებინა როგორც გაგზავნილი დეპეშის ტექსტი, ისე მიღებულისა; როცა ამაზე თ-დ წერეთელს უარი უთქვამს, თ დ მიქელაძეს ცხარე კილოთი დაუწყვია ლაპარაკი და საქმე იქამდის მისულა, რომ თ-დ წერეთელს შეურაცხყოფილად უცვნია თავი და სამსახურიდან გამოსვლის ქაღალდზე მოუწერია ხელი. ამის შემდეგ კომიტეტში აღძრულა საკითხი იმაზე, თუ რამდენად კანონიერია ის ქაღალდი, რომლითაც დეპუტატთა საკრებულო ატყობინებდა ახალ რწმუნებულთა სიით.

და როცა თ-დ ნიჟარაძე, რომელსაც გაუგზავნია ეს ქაღალდი, შეკითხებია ჯერ თ-დ სოლომონ მიქელაძეს და მერე თ-დ ს. წერეთელს, იმის შესახებ, რომ გაეგოთ, მიაჩნიათ მათ თუ არა ეს ქაღალდი უკანონოდ, პასუხი არ მიუღია, უშვერის სიტყვით გაულანძღავს თავად-აზნაურთა წინამძღოლი და სკამითაც კი მიუწევია მაზე და კრებაც დაშლილა.

ასეთი გარემოებანი უძღოდენ წინ რწმუნებულთა კრებას, როცა 31 მაისს გაიხსნა იგი თ-დ დ. ნიჟარაძის თავმჯდომარეობით. კრებას აუწყა მან საქმის ვითარება რწმუნებულთა მოწვევის შესახებ და თან დასძინა, რომ ზედამხედველი კომიტეტი დაემყარა ნამესტნიკის კანცელარიის განმარტებას, რომლითაც ახალი რწმუნებულების მოწვევა თუ ძველისა თავად-აზნაურობის საქმეს შეადგენს.

კიტა აბაშიძე. გაგვაგებინეთ, რამ გამოიწვია თ-დი ს. წერეთლის ზედამხედ. კომიტეტიდან წასვლა. ჩვენ ისევ ძველ დროს ვუბრუნდებით—მაშინ ჩავებით მოქმედობდნენ და ეხლა სკამებისათვის მიუმართავთ.

თ-დ დ. მიქელაძემ განმარტა თ-დ ს. წერეთლის სამსახურიდგან გადადგომის საქმე.

თ-დი ნიჟარაძე. ის რაც ჩემსა და თ-დ ს. წერეთლის შორის მოხდა, ზედამხედველ-კომიტეტს და ბანკს არ ეხება; ეს ჩვენი კერძო საქმეა და ამიტომ თ-დი აბაშიძე აქ მეტია.

კიტა აბაშიძე. შეიძლება მე მეტი ვიყო, მაგრამ თქვენ, ბ-ნო ნიჟარაძე, მავნე კაცი ხართ და ამას მალე ისინიც-კი გაიგებენ, რომლებსაც თქვენგან თვალი აქვთ ახვეული.

კ. ბაქრაძე. ნამესტნიკის კანცელარიამ თქვენ გაცნობათ, რომ ახალისა თუ ძველი რწმუნებულების მოწვევა თ-აზნაურობის საქმეაო. რადგან თქვენ ამ საგანზე თ-აზნაურობას არ შეკითხებიხართ და მაშასადამე არც იცით იმისი აზრი, ვალდებული იყავით ძველი რწმუნებულები მოგეწვიათ.

თ-დ. დ. ნიჟარაძე. ჩვენ ყოველივე მივიღეთ მხედველობაში.

კ. აბაშიძე. გთხოვთ ბ-ნ ბაქრაძის განცხადება ოქმში შეიტანოთ.

ბარ. მოსეშვილი. ჩვენ გვარწმუნებენ, რომ ახალმა რწმუნებულებმა უნდა მიიღონ კრებაში მონაწილეობა. იმ დროს, როცა თავად-აზნაურთა კრების მიერ არჩეული კაცები მთავრობამ არ დაამტკიცა, რადგან კრებაში მონაწილეობას იღებდა 60 კაცი, რომელთაც ხმის უფლება არა ჰქონდათ. ამ პირობებში ჩვენ რადათ უნდა ჩავთვალოთ რწმუნებულების არჩევა კანონიერად.

თ-დი გ. ფალავა. აქ თ-აზნაურთა კრება არ არის, რომ იმაზე ვიქონიოთ მსჯელობა კანონიერი იყო თ-აზნაურთა კრება თუ არა—ჩვენი სალაპარაკო

---

და სახლისაკენ გავემართე შორიდანვე ჩვენს ჭისკართან შეგროვილი ხალხი დავინახე. „თედო მოდის, თედო მოდის!“—მომესმა ხალხის გროვიდან.

— რა ამბავია, ხალხო, რა მოხდა?—მივმართე გაოცებული გროვას.

— უბედურება, თედო!—მომიგო მე კარებში მდგომმა მეზობელმა მოხუცმა:—შედი მალე სახლში!

— ამის გაგონებაზე კინაღამ მუხლები ჩამეკეცა. შევირბინე საჩქაროდ სახლში და, თქვენმა მტერმა ნახოს ის, რაც ჩემმა თვალებმა ნახა!—თედომ ერთი მაგრად ამოიოხრა და ცრემლებიც გადმოჰყარა.

— ნეტავი იმ დღეს არ დავსწრებოდი!—განაგრძო მან.—ჩემი სახლი სავსე იყო ხალხით, პოლიციელებით, იქავე იყო ექიმიც... კრაოტზე იწვნენ უსულოდ ჩემი ცოლი და შვილი, პატარა ნინო, დასისხლიანებული. ცოლი ჯერ კიდევ ფეთქავდა ოდნავ... ამის მნახველი ერთ ადგილას გავშეშდი და არ ვიცოდი, თუ რა მეთქვა ან რა მექნა...

— თედო, შე უბედურო, სადა ხარ აქამდე, შენ რომ არ დაგეგვიანა, ეს უბედურება არ მოხდებოდა!—მომძახა მეზობელმა დედაკაცმა, რომელიც იდგა და ცრემლიანის თვალებით ჩასცქეროდა უსულო გვამებს.

მართლაც, მე რომ იმ ოხერ ტრაქტირში არ შევსულიყავი და იქ არა ვმჯდარიყავი ერთი საათი, ეს უბედურება თავიდან ამცილდებოდა...

იმ დღეს, რა დღესაც ეს უბედურება მოხდა, ნინო გამოსულიყო ჩვეულებრივად ჩემს დასახვედრად; ცოტა ხანს შემდეგ გამოსულიყო ჩემი მეუღლეც და ჩემს მოლოდინში ჭისკართან მსხდარიყვნენ. ამ დროს ქალაქის მხრიდან ერთი მძიმედ დატვირთული დროგი მოდიოდა თურმე. საუბედუროდ, სწორედ ჩვენს ჭისკართან ცხენები რაღაცაზედაც დამფრთხალიყვნენ, განზე გამხტარიყვნენ, დროგის ცალი მხარე ჭისკრის წინ არხში ჩავარდნილიყო და გადაბრუნებულიყო სწორედ ჩვენს ჭისკართან... რასაკვირველია, ეს ამ სიმძიმე დროგი თავისის ტვირთით ჩემს ცოლ-შვილს დასწოლოდა თავზე და გაეჭყლიტა სასიკვდილოდ.

დავასაფლავე, როგორც რიგი იყო, საყვარელი ცოლ-შვილი და დავრჩი ორი პატარა ვაჟიშვილით, რომელთაგან ერთი ოთხის წლისა, მეორე წლისა და ნახევრისა იყო...

გავიდა თვე-ნახევარი რაც ცოლშვილი დავასაფლავე და პატარა ვაჟებიც ავად გამიხდნენ და მალე თავიანთი უმანკო სულები ჩააბარეს ღმერთს. ერთს კვირაში ორივენი გამოესალმნენ წუთი-სოფელს... ეხლა კი ჩემს მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა, მაგრამ რას იზამ... დავიწყე არყის სმა, ჩემს დარდ-ვარამს არაყში ვახრჩობდი, დაცარიელებულს სახლში, სადაც ასეთი მწუხარება გამოვიარე, გული აღარა მწევდა, იშვიათად შევდიოდი. გამოვთვრებოდი არაყით და, სადაც მომიხდებოდა, იქ მეძინა ღამე; ხშირად უფრო მინდორში, სველს ბალახში, რის გამოც გავცივდი და მალე ავად გავხდი... ორი წელიწადი საავადმყოფოში ვიწექი და ვიკვნესე. შემდეგ გამოვედი იქიდან ვითომდა მორჩენილი და დავიწყე წინანდებურად მუშაობა. სმასაც თავი დავანებე.

გავიდა კიდევ სამი წელიწადი. საკმაოდ მოვკეთდი. თითქო წინანდელი ძალ-ღონეც დამიბრუნდაო და სრულიად კარგად შევიქენი. მხოლოდ ეს იყო, რომ ოჯახურ ცხოვრებას მიჩვეული თავს ობლადა ვგრძნობდი. გადავწყვიტე ხელმეორედ ცოლის შერთვა და შევირთე კიდეც. ხელ-ახლად დავიწყე ბედნიერი ცხოვრება, უკვე განვლილი მწუხარება თითქმის სრულიად გაჰქრა, აღარ მაგონდებოდა. მაგრამ დიდ-ხანს არ გაგრძელებულა ეს ბედნიერება, ახალი უბედურება დამატყდა თავს...

მეორე ცოლი არაფრით არა ჰგავდა ჩემს წინანდელს ცოლს. საშინელი ანჩხლი და გარყვნილ-გაფუჭებული ქალი გამოდგა. არაფერს მიგონებდა და არაფერს აკეთებდა ლანძღვა გინების მეტს. ხშირად ითვრებოდა კიდეც. გარდა ამისა, ბოლოს მუჯლუგუნებიც დამიწყო. ერთ ამგვარ მუჯლუგუნზე მეც, მოთმინებიდან გამოსულმა, მუჯლუგუნითვე გავეცი პასუხი. დაიწყო ტირილ-ყვირილი, გამოვარდა ეზოში და საშინელის ხმით გაჰკიოდა: „მიშველეთ, ქრისტიანებო, აზიელი ბუსურმანი მკლავსო!“ რასაკვირველია, ამგვარი ცხოვრება შეუძლებელი იყო და, ჩვენც ორის წლის ცოლ-ქმრობის შემდეგ გავიყარენით...

ამ გაყრის გამო გადამეკიდნენ მისი ნათესავები და მოსვენებას აღარ მაძლევდნენ. მე, რასაკვირველია, თავს არავის ვაჩაგვრინებდი და ყველას პასუხს ვაძლევდი სიტყვითა თუ მუშტით. რაკი ღონით ვერაფერი გაიტანეს, ახლა დანით დამიწყეს დევნა, და აი ამ დევნის დროს შემომაკვდა ერთი მათგანი, რის გამოც სამი წელიწადზე მეტი გავატარე ციხეში, სადაც ხელახლად ამიტყდა ავადმყოფობა. ციხიდან გამოსვლის შემდეგ გადავწყვიტე სამშობლო ქალაქში დაბრუნება, მაგრამ ჩემს გადაწყვეტილებას ბოლო არ უჩანს... დავეხეტები აქ, ამ უცხო მხარეში დაავადმყოფებული, მენატრება სამშობლო ქვეყნის ნახვა... გარდა ამისა, მეშინიან აქ არ მოვკვდე და უცხო მიწამ არა შესჭამოს ჩემი ძვლები... მინდა რაც შეიძლება, მალე გავშორდე ამ დაწყევლილ არე-მარეს, სადაც ისეთი მწუხარება გამოვცადე, მაგრამ არა ხერხდება, მალმალე ავად ვხდები და ნახევარზე მეტს ხანს ლოგინში ვწევარ... აი, ჩემო ძმაო და მეგობარო, რა გადამხდა თავს, რა გამოვიარე და რა დღეში ვარ ახლა!—დაამთავრა თედომ და მწარედ ამოიოხრა.

— ძალიან დაგიმადლებთ—განაგრძო მან მცირე სიჩუმის შემდეგ,—რომ კვირაში ერთხელ მაინც წამაკითხებდეთ თქვენს გაზეთს. მე აქ არავინა მყავს ნაცნობი ქართველთაგანი, რომ სამშობლო ქვეყნის ამბავი იშვიათად მაინც გავიგო...

— დიდის სიამოვნებით,—მივუგე მე.—აი ეს გაზეთი მე უკვე წაკითხული მაქვს; შეგიძლიან წაიღოთ და წაიკითხოთ. გარდა ამისა, ჩემს ადრესს მოგცემთ და შეგიძლიანთ იაროთ ჩემსას გაზეთის საკითხად თუნდა ყოველ დღეც კი; ნუ მომერიდებით, მე არაფერს დამიშლით... წინადაც დადიოდნენ და კითხულობდნენ დრო გამოშვებით ორი—სამი კაცი ჩემს გაზეთს, მაგრამ ეს მეორე წელიწადია, რაც დაიკარგნენ და აღარ მინახავს. მე აქ ახლო ვდგევარ ბინათ.

— ყოველ დღე სიარული არ შემიძლიან ამ სიშორეზე, კვირაში ერთხელაც საკმარისია ჩემთვის. მომეცით თქვენი ადრესი და ისე გნახავთ როგორმე.

მე მივეცი ჩემი ადრესი.

— ახლა ჩემი ადრესი ჩაიწერეთ, —მითხრა მან,—თუ ქართველობა გწამთ, არ დამივიწყოთ... ძალიან დაგიმადლით, რომ როგორმე მნახავდეთ. ეხლა კი მშვიდობით, შენ გეთაყვანე, თავს ცუდადა ვგრძნობ... ეს ავადმყოფობა ჩემზედ ხელს არ იღებს, სიქმე გამიჭირა... მნახეთ, არ დაივიწყოთ ქართველი კაცი!.. კარგი იქნება, რომ კვირას მოხვიდეთ ჩემთან...

— მოვალ, მოვალ, უეჭველად მოვალ, თუ არ მოვკვდი მანამდე!—მივუგე მე: — თუ თავს ცუდად გრძნობთ, მე გაგაცილებთ სახლამდე.

— არა, საიმისო არაფერია... მშვიდობით!—გამომეთხოვა თედო და გაუდგა გზას.

გრძელის და სწორის გზის შემწეობით კარგა ხანს ვხედავდი მიმავალს თედოს. მისი ახოვანი ტანი, განიერი მხარ-ბეჭი თან და თან შორდებოდა ჩემს თვალებს და ბოლოს მთლად მიმეფარა თვალიდან.

თედოს შეხვედრამ და მისმა თავგადასავალმა საშინლად დამაღონა და დამაფიქრა. რას წარმოადგენდა ამ ჟამად მისი ცხოვრება? სურვილი სამშობლოში დაბრუნებისა, ავადმყოფობა და შიში სიკვდილისა უცხო მხარეში ერთმანეთს ებრძოდნენ ამ კაცში და რომელი მათგანი გაიმარჯვებდა, ძნელი გამოსაცნობი იყო. „საწყალი თედო,—ვფიქრობდი მე,—ეშინიან აქ სიკვდილისა, არ უნდა, რომ აქ დამარხოს თავისი ძვლები, მაგრამ ესმის ეს სიკვდილს? შეიბრალებს ამ დაავადმყოფებულ კაცს და დაალდის მანამდე, რომ მიაღწიოს მან თავისს საწადელს? არა, სიკვდილი ულმობელია, მან შებრალება არ იცის, და სადაც მოასწრებს თავისს მსხვერპლს, იქ მოუღებს ბოლოს!

იმ კვირაში თედოს სამი გაზეთი გაუგზავნე ქალაქის ფოსტით, ხოლო კვირა დღეს დილის ათ საათზე მე თითონ გავემართე დაპირებისამებრ და მალეც გამოვნახე მისი ბინა. ჭისკართან ერთი ახალგაზრდა კაცი იჯდა, რომელიც მომეგება წინ და მკითხა:

— თქვენ თედოსთან მოხველით?

— დიაღ, თედოსთან მოვედი,—მივუგე მე,—თქვენ საიდან იცით, რომ მე თედოსთან მოველი?

— ამბობდა ამ დღეებში, რომ ჩემთან იქნება ჩვენებური მოვიდესო. მობრძანდით, დღეს ცოტა შეუძლოთ არის საწყალი თედო და წევს,—მითხრა მან და შემიძღვა პატარა ღარიბულად მოწყობილს სახლში, რომელიც შესდგებოდა ორი ოთახისაგან. პირველს ოთახში ჩაცმული იწვა თედო და იქვე მჯდომ მოხუც დედა-კაცს ებაასებოდა რაღაზედაც. ეს იყო მისი დიასახლისი, ხოლო ახალგაზრდა კაცი—მოხუცის შვილი. ჩემი ნახვა ისე გაუხარდა თედოს, რომ ავადმყოფობა დაავიწყდა, ფეხზე წამოიჭრა და წინ მომეგება.

— აი, მადლობელი ვარ, რომ არ დამივიწყეთ და მოხვედით!—მხიარულად მომძახა მან:—თქვენი გაზეთები კი მივიღე, მაგრამ თქვენზე ვფიქრობდი—არ მოვა-მეთქი. ხომ იცით ცოცხალი ადამიანის ამბავი, დაპირება იცის და შესრულება კი არა.

— მე რომ ვინმეს რამე დავპირდე,—მივუგე მე, — უნდა შევასრულო კიდეც. დაპირება და არა — შესრულება არ შეჰფერის პატიოსან კაცს.

იმ დღეს კარგა ხანს დავყავი თედოსთან და ბევრიც ვილაპარაკეთ. ვლაპარაკობდით: გურია-იმერეთისა, დამსჯელი რაზმებისა, მემამულეების განადგურებისა, გლეხების აწიოკე-

საგანი ბანკია და ამას ვერ გადავცდებით.

ი. ფანცხავამ საქმის მსვლელობის ისტორია განმარტა და განაცხადა, რომ უკანასკნელი კრების ინციდენტის გამო, ზედამხედველ კომიტეტს საბოლოოდ არ გადაუწყვეტია ახალი რწმუნებულები მოიწვიოს თუ ძველი.

ხმები. თქვით, ახსენით რა ინციდენტი მოხდა... ჩვენ უნდა ვიცოდეთ რა პირობებში მუშაობენ ჩვენგან არჩეული კაცები.

თ-დ დ. ნიჟარაძე. ინციდენტი თქვენ არჩეულ კაცებს შორის კი არ მომხდარა, არამედ მარშლებს შორის.

კ. აბაშიძე. ჩვენი არჩეული კაცი, თავმჯდომარე კომიტეტისა, კრების წინა დამეს სამსახურს თავს ანებებს. აგვიხსენით, რად მოხდა ეს... კომერციულ საქმეში სკამების ტრიალი შეუწყნარებელია... თ-დი დ. ნიჟარაძე ლაპარაკის ნებას არ აძლევს, ზარს რეკავს...

კიტა აბაშიძე. ნუ ურჩით თ-დო ნიჟარაძე სინათლეს—მას თქვენ ვერ წაუხვალთ.

ს. ლ. ბახტაძე. ეხლა, როცა აპეკა მოგვხსნეს და ახალი ხანა იწყება ბანკის არსებობაში, ჩვენ გვმართებს გულ-დამშვიდებით შევუდგეთ საქმეს და არა ისეთი სიცხარით როგორც ჩვენ ვიჩენთ. ჩემის ფიქრით, უმჯობესია ფინანსთა მინისტრს მივმართოთ, საქმის გარეშეობა დაწვრილებით, ვაცნობოთ განმარტება ვთხოვოთ და მანამდის კი ჩვენი მოქმედება შევაჩეროთ.

ასახელებენ უთვილ მარშლებს ს. გ. წერეთელს და ს. ნ. ლორთქიფანიძეს. პირველმა მიიღო 55 თეთრი და 42 შავი კენჭი და მეორეს 51 თეთრი და 46 შავი.

თ-დი სვ. წერეთელი თავმჯდომარის ადგილს იჭერს.

ს. ლ. ბახტაძის წინადადებით კრებამ გადასწყვიტა სადამ-სადამოებით მოხდეს ხოლმე კრება და ამას გარდა კიტა აბაშიძის წინადადებით გამგეობის თავმჯდომარემ გაგზავნა დეპეშა ფინანსთა მინისტრთან, რომელსაც აცნობა დაწვრილებით საქმის გარემოება რწმუნებულების. შესახებ და განმარტება სთხოვა. პასუხის მოლოდინში კრება დაინიშნა 1 ივნისს სადამოს 7 საათზე.

# თეატრი და ხელოვნება

**გამოსაცდელი წარმოდგენა.** თუ პირველს შთაბეჭდილებას ვენდობით —შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ქართველი „გამოსაცდელი" მსახიობნი იმგვარივე ნიჭის, ინტელიგენტობის და ღირსებისა არიან, როგორისაც ჩვენი „გამოცდილ და დამსახურებულ არტისტთა" უმრავლესობა. განსხვავება მათ შორის არსებითი არ არის და რაც არის—ისით ალბად გაჰქრება ჟამთა მსვლელობაში. ერთხელ კიდევ მტკიცდება ის შეხედულება, რომ ქართველი ინტელიგენტი თუ ნახევარ ინტელიგენტი უმეტეს ნაწილად მხოლოდ ცხოვრებაშია დახელოვნებული მსახიობი, სცენაზე კი მას აკლია გულწრფელობა, ხელოვნების მოთხოვნილებათა შეგნება, მხატვრული გემოვნება, სიმარტივე და ბუნებრივობა, სულიერი სიღრმე, ინდივიდუალური თვისებების გათვალისწინება, ენის ცოდნა, მიხვრა-მოხვრა—ერთი სიტყვით ყველაფერი ის, რაც მსახიობს ხელოვნური შემოქმედების ცოცხალ გამოხატულებად ჰხდის. ახალი რაზმები ტრადიციული, უკვე გაკაფული გზით მიდიან: მათ არ ძალუძთ რასაკვირველია იმ ფორმების შერყევა, მით უმეტეს გარდაქმნა, რომელშიც ჩამოყალიბებულა ჩვენი სასცენო ხელოვნება. აქ მხოლოდ „პერსონაჟი" იცვლება, საქმის არსებითი ვითარება კი მამა-პაპური რჩება. გადაჭარბებული პაფოსი ლაპარაკის დროს, დუმილის პოეზიის შეუგნებლობა, მეტყველი და უსიტყვო წუთების განურჩევლობა, სრული უცოდინარობა იმისი, რომ პაუზებს ისევე სჭირია სულიერი განცდა, როგორც მონოლოგებს და დიალოგებს—სრულიად აქრობს ესთეტიურ ილლუზიას: მაყურებელი ვერასოდეს ვერ თავისუფლდება იმ აზრისაგან, რომ მის თვალწინ გადაცმულნი აქტიორნი სცდილობენ რაღაცას „წარმოდგენას" და ხეირიანად ვერ სძლებენ ამას; ის ვერ ხედავს ნამდვილს, რეალურს ცხოვრებას—ხორცშესხმულ ადამიანების მიერ განცდილს. ქართულს სცენაზე ადგილი არ აქვს **განცდას**, აქ უმეტესს შემთხვევაში მხოლოდ უხეირო **თამაშობაა**.

იმათ შორის, ვინც პირველ ივნისის გამოსაცდელ წარმოდგენაზე ითამაშა, ჰაუპტმანის დრამაში („მზის ამოსვლამდე" დაიდგა მეხ. მოქ.) ყველას ჩვენის აზრით პ. მამფორია (ექიმი შიმელფენინგი) სჯობდა. მას სხვებთან შედარებით, თავი უბრალოდ ეჭირა, თავისუფლად: პაუზებშიც მეტი ექსპრესსია ეტყობოდა. ქ-ნ ლოლუას უეჭველად საკმაო სასცენო ტემპერამენტი აქვს და კარგი რეჟისსორის ხელში ბევრის გაკეთებაც შეუძლია, თუ ტემპერამენტთან ერთად ცოდნა და შრომის უნარიც შეიძინა. გამოსაცდელ წარმოდგენაზე მას აღელვება ეტყობოდა: ამიტომ სუსტად გამოუვიდა ის ძახილი მიტოვებული ადამიანისა (ალფრედ, ალფრედ!), რომელიც ჰაუპტმანის მშვენიერ დრამაში გულის შემკუმავ სევდას იწვევს. ადამიანი ტრაგიკულ მომენტში ხაფანგში მომწყვდეულ თაგვივით არ დარბის კუთხიდან კუთხეში: მისი ნაბიჯი ხან ნელია და ექვის გამომხატველი, ხან ჩქარი და გადაჭრილი; მის მოძრაობას ეტყობა სულიერი ბრძოლა, აზროვნების გავლენა... დანარჩენი მონაწილენი უფრო სუსტნი იყვნენ.

„მეზობლები" (დაიდგა მეოთხე მოქმედება) რეპლიკების გროვაა და არა დრამა: რეპლიკების ზეპირად წარმოთქმაში ნიჭის გამოჩენა ძნელი საქმეა დახელოვნებულ არტისტებისთვისაც კი. აქ სხვებს ისევ ქ. წუწუნავა სჯობდა, რომელსაც გამოცდილება ეტყობა. მისი მთავარი ნაკლი წმინდა ქართულის ენის უცოდინარობა და დიქციის უქონლობაა; მაგრამ ეს შედარებით ადვილად გასასწორებელი მხარეებია.

გუნიას „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე" (დაიდგა მეორე მოქმ.) უკეთესად ჩატარდა ვიდრე ორი ზემოხსენებული პიესა. სჩანს, ჩვენ მსახიობთათვის „ჟანრი" უფრო ადვილი გასაგები და მახლობელი რამაა, ვიდრე დრამა.

საერთოდ უნდა ვსთქვათ, რომ ძნელია ერთი შთაბეჭდილებით მსახიობის ღირსების დაფასება: ხშირად პირველი შთაბეჭდილება გვლატობს და საქმის შემდეგი ვითარება არ ამართლებს ავ-კარგიანობის პირველ დაფასებას.

# ბიბლიოგრაფია

**Матеріалы по археологіи Кавказа, собранные экспедиціями Императорскаго Московскаго Археологическаго Общества, снаряженными на Высочайше дарованныя средства. Выпускъ XII. Съ приложеніемъ 26 таблицъ и 108 цинкографій, подъ редакціею графини Уваровой. Москва 1909 г.**

დასახელებული შრომა წარმოადგენს ჩვენის წარსულის მკვლევარისა და ისტორიკოსის ექვთ. სვ. თაყაიშვილის 1902 წლის ექსკურსიის ნაყოფს. დიდი და დაუფასებელი ამაგი დასდო ბ. თაყაიშვილმა თავის სამშობლო ისტორიას ამ შეუდარებელი გამოკვლევით! გაზვიადებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ბ თაყაიშვილის ეს შრომა საქართველოს ისტორიის ნამდვილი სამკაულია. ექსპედიციის მიზანი—ტფილისის გუბერნიის ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების ზოგიერთი უცნობისა და ნაკლებ ცნობილი ძეგლების შესწავლა და არდაგანის ოლქის ჩილდირისა და არდაგანის არემარეში არსებულის საქრისტიანო ძეგლების შესწავლა შემოზომა და აღწერა—ძნელი პირობების მიუხედავად, სამაგალითოდ არის შესრულებული.

პირველად მათ დაუთვალიერებიათ აწყური, და აუწერიათ მრისხანე აწყურის ციხე და ერთის მაწყვერელთა კათედრის უდიდესი ტაძრის ნაშთები. შემდეგ უნახავთ ბიეთის დიდი ეკკლესია გუმბათით, აგრეთვე ტისელი და მისი არემარე აწყურიდან გასულან ახალციხეს და გზაზე უნახავთ პატარა სოფ. ახალშენის ეკკლესია.

ოშორის წყლის ხეობაში, აუწერიათ ქვემოოშორის ეკკლესიის ნანგრევები წარწერებით და ზემო-ოშორის ორი ეკლესიის ნანგრევები, რის შემდეგაც გადმოუღიათ ვეებერთელა მთები და ხეობა და შესულან სოფ. ოტს, სადაც დაუთვალიერებიათ ძველი ციხე და შემდეგ ბეთლემის, ღარტას და შორეთის ეკკლესიათა ნანგრევები, ოტს ქვემოთ კიზილდერესის ეკკლესიები და გასულან ასპინძას, სადაც დაუთვალიერებიათ დიდი ციხის ნანგრევები და სოფელს ზემოთ უგუმბათო ეკკლესიის ნაშთები. ამ სოფლის ძველის ძველი ეკკლესიაა უკვე ჩაქცეულა.

შემდეგ უნახავთ ახალქალაქისკენ მიმავალ გზით ხიზაბავრის ეკკლესია და ციხეების ნანგრევები, და ხერთვისით მისულან ახალქალაქს; ახალქალაქის არე-მარეში დაუთვალიერებიათ სოფლებ ბურჯახეთის, კულალისის ბავრის, თორიის, ხორენიის, ჯიგრაშენის, ყაურმის ძველი ეკლესიები და კუმურდოს ტაძარი, რომელიც ჯავახეთის საკათედრო ეკლესიად ითვლებოდა ძველად. ეს ტაძარი ყურადღებას იქცევს თავისი სიძველით შენობის, სილამაზითა და წარწერებით, ბ. ე. თაყაიშვილს დაწვრილებით გადმოუღია. ამას გარდა ბ. თაყაიშვილს შეუკრებია და სამაგალითოდ შეუსწორებია ბ. ი. როსტომაშვილისა და აკ. ბროსეს ცნობები ახალქალაქის სიძველეთა შესახებ.

განზრახული მარშრუტის მიხედვით, ექსკურსია უნდა დაშვებულიყო კუმურდოდან მდ. მტკვრისკენ და ენახა წუნდა, თმოგვი, ვარძია და იქიდან სოფლებ გავეთითა და კარმახეთით გასულიყვნენ ყარსის სამთავროში, მაგრამ გზის სიძნელისა და უხერხულობის გამო იძულებულ, იყო ამ გზობისად გადაედო ეს განზრახვა.

ახალქალაქიდან გამგზავრებულან გზატკეცილით ზურზუნს (ჩილდირის უბანში), სადაც გადმოუღიათ ზურზუნის ძველი ეკლესია და გაუცვნიათ იქაური ბეგი, ორბელიანების საგვარეულოდან გადმოსული, რომელსაც ჰქონია საინტერესო ფირმანი სულეიმან დიდისა (მე-XVI საუკ.), ეტრატზე ნაწერი, ზურზუნის მახლობლად მტკვრის პირას, აუწერიათ ქაჯეთის ციხე ანუ შაითან კალა, რომელსაც ხშირად იხსენიებენ ჩვენი მემატიანეები. იქიდან დაუთვალიერებიათ ჩილდირის ტბის ნაპირებზე მდებარე ეკკლესიის ნანგრევები. ჩილდირის ველზე ზურზუნსა და ცინცალს შუა 1578 წელს მომხდარა სპარს-თურქთა ომი, რომელიც დასრულებულა თურქთა გამარჯვებით.

ზურზუნიდან ინჟენერ ბ. ს. კლდიაშვილთან ერთად გამგზავრებულან ჩაის, სადაც უნახავთ ძველი ეკლესია წარწერებით. აქვე უნახავთ ძველი ჩილდირის უბნის საკათედრო ტაძარი.

შემდეგ გადაუვლიათ სოფ. ვაშლობზე და აუწერიათ მთის სოფლების ჩომარდოს, ამჰურისა და თათალეთის ეკკლესიების ნანგრევები, იქიდან გასულან თათალეთის წყალში, რომელიც საზღვრავს ყარსის სამთავროს ტფილისის გუბერნიისაგან, და შებრუნებულან ისევ ახალციხის მაზრაში და აუწერიათ ყაზარმეთისა და გავეთის ეკკლესიები, შემდეგ ისევ გაბრუნებულან თათალეთსა და იქიდან შესულან სოფ. ქოთასში, სადაც უნახავთ თლილის ქვის ეკკლესიის ნანგრევები ხუცური წარწერით და მახლობლად სანსუთის ეკლესია წმიდანების ბარელიეფებით; იქიდან წასულან არდაგანში, აუწერიათ ნაქალაქევის და სხვა ღირსშესანიშნავი სიძველენი.

არდაგანიდან წასულან ოლთისის ოლქში და შეჩერებულან სოფ. პენიაკში, სადაც იმ სადამოსვე დაუთვალიერებიათ შესანიშნავი ბანის ტაძარი პენიაკის მახლობლად, რომლის დაწვრილებით აღწერამდე დაუთვალიერებიათ პენიაკის არე-მარე და შესანიშნავი სოლომონ კალა. შემდეგ შესდგომიან ბანის ეკლესიის დაწვრილებით გადმოღებას, რადგან ბანის ეკლესია განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა. შემდეგ დაბრუნებულან პენიაკიდან არდაგანს, სადაც აუწერიათ ციხე-ქალაქი, თათრულ-სომხური და ქართული წარწერები; აქ ჩვენის ნიჭიერი არქეოლოგის ყურადღება სამართლიანად მიუქცევია იმ გარემოებას, რომ ძველის-ძველი ყარსის ციხის კარები, რომელიც იცავდა ქართველთა ბატონობის დროის ძველის-ძველ ქართულ წარწერებს, 1902 წელს უკვე მოესპოთ და კვალიც აღარსადა სჩანდა. კიდევ მადლობა ღმერთს, განსვენებულს დ. ბაქრაძეს გადმოუღია 1881 წელს და შემდეგ დ. ვ. ქუთათელაძეს, რომელიც ოლთისის ხარკის ამკრეფ ინსპექტორად არის.

ბ. ექ. თაყაიშვილს სამაგალითოდ შეუსრულებია ეს შესანიშნავი მარშრუტი; განსაკუთრებულის ყურადღების ღირსია ამ შრომაში ბანის ტაძრის იშვიათი ფოტოგრაფიული სურათები და სრული რესტავრაცია. თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ეს ძვირფასი შრომა, რომელიც, ვრცელის წინასიტყვაობის გარდა, წარმოადგენს საუკეთესო ქაღალდზე გადაღებულ ფრიად შესანიშნავ სიძველეთა თითქმის მკვდრეთით აღდგენას და იშვიათის ღირსების ცნობებსა და საინტერესო ექსკურსიის დაწვრილებით აღწერას შეადგენს ეს აღწერა ძვირფასია, არა თუ ჩვენის ნიჭიერის ისტორიკოს-არქეოლოგის ექ. თაყაიშვილის ნაწერთა შორის, არამედ მთელის ჩვენის წარსულის მკვლევართა მოღვაწეობაშიაც კი.

არ შემიძლია სიამოვნებით არ აღვნიშნო ის სიმხნე, რომელსაც ესადამიანი იჩენს ჩვენის წარსულის სიძველეთა შესწავლის საქმეში. იმდენი ჩვენთვის არც ერთს ჩვენს მეცნიერს არ გაუკეთებია, რამდენიც ბ. თაყაიშვილს. არქეოლოგიურ ნაშთთა შეუდარებელი მკვლევარი, იგი იმავე დროს არის ჩვენის ეროვნულ კულტურულ ავლადიდების საუკეთესო გამომმზეურებელი ქარ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების მუზეუმის ხელთნაწერთა აღმწერი, ხოლო თუ აქ დავუმატებთ მის ინიციატივას და მხნე მუშაობას საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში დაარსებით, მაშინ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ იგი პირველხარისხოვანი მოღვაწეა.

**Justus.**

---

ბისა, მუშათა გაფიცვისა და სომეხ-თათართა ქლეტის შესახებ.

— რა კარგი რამ არის გაზეთი, ვენაცვალე მისს მომგონს!—აღტაცებული იძახდა თედო: — აბა გაზეთი რომ არ იყოს, საიდან გეცოდინებოდათ ყველა ესენი? მე რომ გაზეთს არ ვიღებ და არა ვკითხულობ, აკი არც ვიცი რამე!

ღამის თერთმეტ საათზე გამოვეთხოვე თედოს, დავპირდი გაზეთების გზავნას და კვლავ ნახვას.

— კიდევ მნახეთ, — მომაძახა კარებიდან მან,—მეცა გნახავთ როგორმე. მარიამობის თვეში წავალ ტფილისში და მერე კი ველარ ვნახავთ ერთმანეთს. უნდა დავეშურო ცოტა, თორემ მეშინიან აქ არ მოვკვდე.

— ფიქრი ნუ გაქვთ, გნახავთ, მშვიდობით!—მივძახე ჩემის მხრით და გავუდექი ნარვის გზა-ტკეცილს.

მას შემდეგ რამდენჯერმე ვიყავი თედოსთან და გაზეთებსაც ხშირად ვუგზავნიდი. ერთს შაბათს საღამოს თითონაც იყო ჩემთან.

ივლისის გასულს თედო ძლიერ ცუდათ შეიქნა და ეს დაავადმყოფებული, ჯან-გატეხილი კაცი, დიდის ვაი-ვაგლახით მუშაობდა დრო-გამოშვებით, რომ მშიერი არ მომკვდარიყო. მე გადავწყვიტე გამომენახა აქაური ქართველობა და მეთხოვნა თედოსათვის დახმარება აღმოეჩინათ რამე. მასაც გავუზიარე ჩემი აზრი, მაგრამ ჩემს გადაწყვეტილებაზე მტკიცე უარი მივიღე.

— არა,—მომიგო მან, — არავის შეწუხება არ შემიძლია. მე სხვისი პურით არ მიცხოვრია და არც თუ მოვკვდე ვინმე ჩემი.

ეს სიტყვები ისეთის კილოთი იყო წარმოთქმული, რომ მათს სიმტკიცეს ეჭვი არა ჰქონდა, და მეც აღარ ავუხირდი.

აგვისტოს შუა რიცხვებში, ერთს კვირა დღესაც გავემართე თედოს სანახავად. ჭისკართან მისვლისათანავე შემომეყარნენ წინ მოხუცი დიასახლისი და მისი ვაჟიშვილი, რომელსაც პატარა კალათი ეჭირა ხელში.

— თედოსთან მოხველით?—მკითხეს ერთხმად დედა-შვილმა.

— დიაღ,—ვუპასუხე მე და ვიგრძენ, რომ რაღაც ამბავი მომხდარიყო.

— წავიდეთ, ნაღვლიანად მომიგო ყმაწვილმა კაცმა,—ჩვენც იმასთან მივდივართ!

— სად არის თედო?

— მიტროფანეს სასაფლაოზე... ოთხშაბათს დავმარხეთ... არ ვიცოდით თქვენი ადრესი, რომ შეგვეტყობინებინა.

ამ მოულოდნელის ამბის გაგონებით თითქო მეხი დამეცაო, ერთს წამს ერთს ადგილას გავშეშდი და გული ტკივილით შემეკუმშა.

— ორშაბათს, დილით,—განაგრძო ყმაწვილმა კაცმა, — საწყალი თედო მოემზადა სამუშაოზე წასასვლელად, მაგრამ ველარ წავიდა, რადგან თავს ძლიერ ცუდად ჰგრძობდა. ამის გამო მეც აღარ წავსულვარ სამუშაოდ; მოვიწვიე ქალაქის ექიმი, მოვუტანე წამლები მაგრამ საცოდავს არაფერი ეშველა. საღამო ხანზე გააცივ-გააცხელა, დაიწყო ბოდვა და შუაღამისას სულიც განუტევა....

მოხუც დიასახლისს ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა ცრემლები.

— საბრალო თედო, — ერთი კი წამოვიძახე და გავყევი მათ სასაფლაოსკენ. გავიარეთ ერთი ვიწრო ქუჩა, გავედით მინდორზე და მალე სასაფლაოზედაც მივედით. უზარმაზარ სასაფლაოს ბოლოს, კლდის ძირს მივადექით უბედურ თედოს საფლავს, თეთრი ჯვარით, რომელზედაც ეკრა შავი რგვალი თუნუქა თეთრი ასოებით წარწერილი: „ტფილისის მოქალაქე თევდორე ზაქარიას ძე ლომიძე".

უძრავად ვიდექი ერთ ადგილას და გულ-დაწყვეტილი შევყურებდი უბედურ კაცის საფლავს. ვერ მიაღწია მან თავის საწადელს და დაიმარხა იქ, სადაც არა ჰსურდა მას უცხო მიწაში უცხოთა შორის, შორით მოსული ქართველი მუშა... სწორედ ამ დროს გამახსენდა უკვდავი სიტყვები:

„სადაური სადა კვდება,
სად უთხრიან სამარესა!"...

თედო, მრავალ ტანჯული თედო, რომლის ძვლებიც კვნესოდნენ, რომელიც ლუკმა-პურისთვის იტანჯებოდა უკანასკნელს დღეებშიაც კი, რომელიც მარად ჰფიქრობდა სამშობლოში დაბრუნებასა და შიშობდა, რომ უცხო ქვეყანაში არ მოვკვდე და უცხოთა შორის არ დავიმარხოვო ახლა უზრუნველად იწვა თავის ვიწრო სამარეში. მისი ძვლები აღარა კვნესოდნენ, თვით ის აღარ იტანჯებოდა, აღარ ოცნებობდა სამშობლოში დაბრუნებას და აღარც ეშინოდა უცხო ქვეყანაში უცხოთა შორის დამარხვისა... მისს ირგვლივ ასობით განისვენებდნენ მისსავით ტანჯულნი, სიცოცხლეში ლუკმა-პურისათვის მებრძოლნი, ახლა-კი უზრუნველნი...

თედო განისვენებდა უდარდელად და უშიშრად უცხოთა შორის, ხოლო მისს ობოლს სამარეზე ამართულიყო და განუშორებელ დარაჯად უდგა უბრალო ხის თეთრი ჯვარი.

**ნიკო ასლამაზიშვილი.**


**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში.
იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—112

**დოქტ. ნავასარდიანისა**
დაარსებულია 1880 წელს.
(კორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირების გარდა
**დილით:**
**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.
**კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა:** 9½—1 ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.
**საღამოთი:**
**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი:** 6—6½ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

**ონანიზმს** მოსდევს დამლა, ჭკუიდან შეშლა, უდროოდ სიკვდილი. ახალ წიგნში **„ახალგაზრდობის ცოდვებში"** ნაჩვენებია საუკეთესო დარიგებანი: როგორ უნდა დაიფაროს ადამიანმა თავი დაფარულ ავადმყოფობათა მავნებელ შედეგებისაგან. საუკეთესო საშუალება სქესობრივ უძლურებისა, სუხუნატისა და ათამანგის წინააღმდეგ. ფასი გაგზავნით 1 მ. 25 კ. (მარკებით) ფას დადებით 1 მ. 50 კ. იგზავნება დაუყონებლივ, ს. პეტერბურგი ნევსკი პრ. № 108, ამბ. „ცხოვა". (4—6.—1)

**ხანში შესული კაცი.**
ეძებს, კასირის ან სახლების გამგის ადგილს. რიგიანი და ქალაქში ცნობილი და სანდო კაცებისაგან აქვს რეკომენდაცია—თავდებობა. თანახმაა სოფელშიც წავიდეს.
ადრესი: **გოლოვინის პროსპექტი საბრანიის ქვეშ „კოფე ლონდონი".** (2—306—2).


**მატარებლების მიმოსვლა**
**18 აპრილიდან 1910 წ.**
საათები ნაჩვენებია ტფილისის დროს მიხედვით, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წუთით წინაა.

**ტფილისიდან გადის**

| | | |
|---|---|---|
| **ბათუმისკენ:** | N 1, ხწრ.—ხაღ. | 11 ს. 28 წ. |
| | N 3, საფ-ს.—დღ. | 1 ს. 24 წ. |
| | N 5, სამგზ.—საღ. | 7 ს. 31 წ. |
| **ბაქოსკენ:** | N 2, ხწრაფ.—დილ. | 8 ს. 15 წ. |
| | N 4, საფ-ს.—საღ. | 10 ს. 4 წ. |
| | N 12, სამგზ.—დღ. | 2 ს. 38 წ. |
| **ბორჯომისკენ:** | სამგზ.—დილ. | 8 ს. 28 წ. |
| | სამგზავ.—დღ. | 3 ს. 36 წ. |
| **ჯულფისკენ:** | საფოსტო—ღამ. | 12 ს. 22 წ. |
| **ერევნისკენ:** | სამგზავრო—დღ. | 4 ს. 15 წ. |

**ტფილისში მოდის**

| | | |
|---|---|---|
| **ბათუმიდან:** | N 2, ხწრ.—დილ. | 7 ს. 25 წ. |
| | N 4, საფ-ს.—საღ. | 9 ს. 4 წ. |
| | N 6, სამგზ.—დილ. | 11 ს. 4 წ. |
| **ბაქოდან:** | N 1, ხწრფ.—საღამ. | 10 ს. 36 წ. |
| | N 3, საფოს.—დღ. | 12 ს. 24 წ. |
| | N 1. სამგზ.—დილ. | 6 ს. 58 წ. |
| **ბორჯომიდან:** | სამგზ.—დილ. | 6 ს. 28 წ. |
| | სამგზ.—საღამ. | 8 ს. 08 წ. |
| **ჯულფიდან:** | საფოსტ.—დილ. | 6 ს. 8 წ. |
| **ერევნიდან:** | სამგზავ.—დღის. | 6 ს. 33 წ. |


**განცხადებანი**

**ეფრემ მერდი**
**(სურათებით)**
დაიბეჭდა და იყიდება, ვისაც სურს, შეუძლიან მიმართოს მიხეილ ზარიძეს, ანჩისხატის ქუჩა № 17. თითო წიგნი ღირება 1 მან. 50 კ. ვინც გამოიწერს, დაეთმობა 1 მან.
(3—305—2)



**✦ საკვირველება!!! ✦**
**ჯიბის საათები საუკუნო კალენდრით**
ეს საათები გარდა საათებისა აჩვენებს დღეს, რიცხვსა და თვეს. ყოველ 12 საათში ერთხელ. საათის ისარი ავტომატიურად გადახტება ხოლმე და აჩვენებს დღესა და რიცხვსა. ეს საათები ნამდვილი „ანქერი" არის. მუშაობს 15 ქვაზე. მავი თუჯისა, მომართვა ყოველ 40 საათში ერთხელ. ფასი მხოლოდ 4 მ. 50 კ. 2 ცალი—8 მ. 50 კ. გაიგზავნება ფასდადებით და უფასოდაც და უბედდაც. ექვს წლის გარანტია, თუ საათები არ მოეწონათ, უკან გაბრუნებ ფულს. გაგზავნება 4 ცალისა 40 კ. (ციმბირში 75 კ.- **ჩვენი რჩევაა**, ნუ გამოდუდგებით იაფ-ფასიან საათებს, გამოიწერეთ ჩვენგან ეს საათები და ყოველთვის მადლიერნი იქნებით. მშვენიერი მოდის მეწკვები ნამდვილ ახალ ოქროსი მშვენიერი ბრელოკით—75 კ. და 1 მ. 50 კ. 2 ზომიანი 2 მ. 50 კ. და 3 მ. 50 კ.
Адресъ: Экспортн, домъ И. Шгрумфельдъ, Варшава, Св. Креста, 48 отд. 12. გთხოვთ ამოსჭრათ ადრესი და მაგრად დააკრათ კონვერტზე ან ღია ბარათზე. Метцль и К-о, N 33964. (4—ь.—3)

**ელექტრონის გილზის ფაბრიკა**
**„რ ო ზ ა"**
**(„ვარდი")**
**ტფილისი, უჩების შესახვევი, № 5. ტელეფონი № 602.**
**საკვირველად მშვენიერი გილზები მეტად წმინდა ფრანგულ ქაღალდისა. იყიდება ყველგან.** (100—ტ.—23)